დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

სსიპ ქალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვერა ყურულაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ნიკოლოზ წულაია -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
შორენა გაგუა -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
შორენა გაგნიძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
სოფიკო მჭედლიშვილი -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
თამარ ხოსროშვილი -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
დიმიტრი პოპოვი -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ნანა შალამბერიძე -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ხათუნა გერგაია -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
თამარ ზედგინიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ეკატერინე კვირკველია -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	206031934

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ვარკეთილი, სესილია თაყაიშვილის ქ. 17
საფოსტო ინდექსი	0163
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi180@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	032 2 79 61 33

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 6 26 0000355613 24/03/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 23 და 24 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქ. თბილისი, ვარკეთილი, სესილია თაყაიშვილის ქ. 17 (ორი შენობა-ნაგებობა: კორპუსი N1 (V, VI კლასები და კორპუსი N2 (I-IV კლასები))
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ქ. თბილისი, ვარკეთილი, სესილია თაყაიშვილის ქ. 17 (ერთი შენობა-ნაგებობა: (კორპუსი N1)
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ქ. თბილისი, ვარკეთილი, სესილია თაყაიშვილის ქ. 17 (ერთი შენობა-ნაგებობა: (კორპუსი N1)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 2300	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.4.1.1.		*შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. (21.12.2025-21.12.2026 წ.)*
ინდიკატორი N 3.5.1.4.	*საბაზო საფეხური, საშუალო საფეხური საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლაში დამონტაჟდეს ლიფტი ან პანდუსი (21.12.2025-21.12.2026 წ.)*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N2.2.2.3	*საბაზო საფეხური, საშუალო საფეხური საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	*შესაბამისობის გეგმის მიხედვით მოეხდეს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი ლაბორატორიული ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით. (18.02.2026- 21.12.2026 წ.)*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
2.1.2.1	*საშუალო საფეხური მათემატიკა*	*საშუალო საფეხურის კურიკულუმში დაემატოს თემები: კოსინუსების თეორემა, სინუსების თეორემა. ზოგან თემასთან ერთად წერია საკითხებიც, ა*

		მხოლოდ საკითხები. ასევე, კურიკულუმში ზოგან, სამიზნე ცნებებთან ერთად წერია ასევე საკითხები. სასურველია, გაიმიჯნოს ერთმანეთისგან და შესაბამის სვეტში ჩაიწეროს.
2.1.2.1	საბაზო საფეხური მათემატიკა	საბაზო საფეხურის კურიკულუმში ზოგან თემასთან ერთად წერია საკითხები ან მხოლოდ საკითხები.
2.1.2.2	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველ მეცნიერებები	სასურველია კურიკულუმის ცხრილში აისახოს კვლევითი ტიპის დავალებები.
2.1.2.2	დაწყებითი საფეხური სახელმწიფო ენა	კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია კურიკულუმები.მათში სათანადოდ აისახოს და დამუშავდეს თითოეული თემა.(კერძოდ, მე-5 კლასის კურიკულუმში ჩასამატებელი და გასათვალისწინებელია მე-4 თავის თემა, რომლის ფარგლებშიც დამუშავდება შესაბამისი სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები)
2.1.2.2.	დაწყებითი და საბაზო მათემატიკა	სასურველია, ზოგიერთი კლასის კურიკულუმებში (მაგ. მე-6 და მე-8 კლასების) წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება.
2.1.2.2	დაწყებითი საფეხური - ზოგად განათლების დაწყებითი საფეხური	სასურველია, კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი. კურიკულუმებში, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რომელი სამიზნე ცნება, კონკრეტულად რომელი საკითხით მუშავდება. ასევე, გადამოწმდეს ის მიდგომა, რომ ყველა სავალდებულო თემაში, ყველა სამიზნე ცნება მუშავდებოდეს.
2.1.2.3.	სამივე საფეხური საბუნებისმეტყველ მეცნიერებები	სასურველია, კურიკულუმის ცხრილში, ელექტრონული რესურსების გარდა აისახოს სხვა მატერიალური რესურსიც.
2.1.2.3.	საშუალო საფეხური - საზოგადოებრივ მეცნიერებები	მე-10 კლასის საქართველოს ისტორიის კურიკულუმში სასურველია მითითებული იყოს სახელმძღვანელოს გარდა სხვა

		დამატებითი სასწავლო რესურსი.
2.1.2.3	*სამივე საფეხური უცხო ენები*	*სასურველია, რომ უცხოური ენების კათედრამ გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი რესურსები, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებზე. ამასთანავე, სასურველია, კონტექსტ მაგალითის გრაფაში მითითებული იყოს კონკრეტული რესურსი (მაგალითად: ესეს მოდელი, ტექსტი, ბროშურა და სხვ.), რომელიც მოსწავლეს დაეხმარება კონკრეტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში.*
2.1.2.3	*სამივე საფეხური სახელმწიფო ენა*	*მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით სასურველია რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით,რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.*
2.1.2.3	*დაწყებითი საფეხური მათემატიკა*	*მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმებში სასურველია, რესურსებს სვეტშიც დამატებით რესურსებთან ერთად მითითებულ იქნას ძირითადი რესურსები*
2.1.2.3	*დაწყებითი საფეხური - ზოგად განათლების დაწყებითი საფეხური*	*სასურველია ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა*
2.1.2.5	*სამივე საფეხური საბუნებისმეტყველ მეცნიერებები*	*წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნაწილი ზოგადი ხასიათისაა. მიზანშეწონილია ამ რუბრიკების კონკრეტულ საკითხებთან თემებთან ან დავალებებთან შესაბამისობაში მოყვანა. რათა შეფასების კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ ასახავდეს კონკრეტული სასწავლო თემის ან დავალების ფარგლებში მისაღწევ შედეგებს.*

2.1.2.5	სამივე საფეხური უცხოური ენები	მნიშვნელოვანია, რომ კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა შესასწავლი თემის ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალება მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს, რომ მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლის ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება.
2.1.2.5	სამივე საფეხური ესთეტიკური აღზრდა	შეფასების რუბრიკები ძირითადად ზოგადი ხასიათისაა, ამიტომ მიზანშეწონილია მათი უფრო მეტად დაკონკრეტება კონკრეტული დავალებებისა და თემების შესაბამისად, რაც კიდევ უფრო გაზრდის შეფასების სიზუსტესა და ეფექტიანობას.
2.1.2.5	სამივე საფეხური მათემატიკა	სასურველია, განსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას პედაგოგებმა მეტად გამოიყენონ სამიზნე ცნებები და შეფასების კრიტერიუმები იყოს უფრო მეტად, კონკრეტულ დავალებაზე მორგებული და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისთვის.
2.1.2.5	დაწყებითი საფეხური - ზოგად განათლების დაწყებითი საფეხური	სასურველია ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/ სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.
2.2.1.1.	სამივე საფეხური- უცხოური ენები	მნიშვნელოვანია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მიუთითოთ საათობრივი განაწილება თითოეულ თემასთან მიმართებით.
2.2.1.3	სამივე საფეხური - ესთეტიკური აღზრდა	მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკების მეტად დაკონკრეტება კონკრეტული დავალებებისა და თემების შესაბამისად, რაც კიდევ

		უფრო გააძლიერებს შეფასების ვალიდურობასა და სიზუსტეს.
2.2.2.1	*დაწყებითი საფეხური - სახელმწიფო ენა*	*კურიკულუმის შექმნისას რესურსების გრაფაში ასახონ როგორც ძირითადი , ასევე დამხმარე რესურსები. სასურველია (განსაკუთრებით V-VI კლასების)კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება.*
2.2.2.1	*დაწყებითი საფეხური - ზოგად განათლების დაწყებითი საფეხური*	*სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ.ბმულები.*
2.2.2.3	*სამივე საფეხური - სახელმწიფო ენა*	*უფრო მეტად დაზუსტდეს და აისახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში, რაც გასაუბრების დროსაც დადასტუტდა.*
2.2.2.3	*დაწყებითი საფეხური - ზოგად განათლების დაწყებითი საფეხური*	*სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დრო)*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია ის აქტივობები, რომელთა საშუალებითაც სკოლა უზრუნველყოფს ყველა სტანდარტის მოყვანას ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში.ასევე სკოლამ წარმოადგინა გათვლილი შესაბამისობის რისკები და რისკის დადგომის ალბათობა. კერძოდ, წერილი სკოლის შენობის მდგრადობაზე-№ MES 9 26 0000064385 , ხელშეკრულება სკოლასა და სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული (2026 ივნისი-2026 დეკემბერი)
წერილი სკოლაში არსებული ლიფტის რეაბილიტაციაზე - №MES 7 260000075778 ,პასუხი სამგორის რაიონის გამგეობიდან სკოლაში არსებული ლიფტის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით -№37-01260724455 (2026 ივნისი- 2026 დეკემბერი)
ხელშეკრულება სამედიცინო კაბინეტში შირმის შესყიდვასთან დაკავშირებით;
წერილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობაზე - №MES 3 260000179300;

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**
   სსიპ ქალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლა ზრუნავს შექმნას მეგობრული და უსაფრთხო სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. ცდილობს დაეხმაროს მათ გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებაში, უზრუნველყოფს მათ აუცილებელი ცოდნით, ცდილობს აღზარდოს თავისუფალ, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე პიროვნებად.
   სკოლის მისია - სსიპ ქალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლის მისიაა, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისად აღზარდოს თავისუფლად მოაზროვნე მოქალაქე, მისცეს მას თავისი უნარების განვითარების საშუალება და ისეთი ცოდნა, რომელიც ამ უნარების გამოყენებაში დაეხმარება. სკოლა მზად არის სკოლაში შექმნას უსაფრთხო და თანამშრომლობითი გარემო, სადაც ყველა მოსწავლისთვის სწავლა საინტერესო, მისაღები და დაფასებული იქნება, სადაც მომავალ თაობას ექნება საშუალება ჩამოყალიბდეს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, შრომისმოყვარე და პატრიოტ მოქალაქეებად.
   სკოლის ხედვა- სკოლის ხედვა ეფუძნება პრინციპს, რომ იგი იყოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული. სკოლა იქნება ადგილი, სადაც ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნება ინკლუზიური გარემო, რომელიც მოერგება მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებს და ჩამოუყალიბებს მომავლის სწორ ხედვას, რომელიც ყველა კურსდამთავრებულს საშუალებას მიცემს გააკეთოს სწორი პროფესიული არჩევანი.
   სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვით, უსაფრთხო ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ინკლუზიური გარემოს შექმნით, სკოლის კურსდამთავრებულები შეძლებენ საკუთარი თავის მაქსიმალურ რეალიზებასა და დამკვიდრებას გლობალურ სამყაროში.

ღირებულებებია: გუნდური მუშაობა; პროფესიული ზრდა და განვითარება; საქმის სიყვარული და ერთგულება; კეთილსინდისიერება და პატიოსნება; სამართლიანობა; ამ მიზნის მისაღწევად სკოლა იცავს გარკვეულ პრინციპებს, რომლებიც სწავლების სხვადასხვა საფეხურზე მოიაზრებს:

სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდასა და მოსწავლის მომზადებას საბაზო საფეხურისთვის;

საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებას, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარებას;

საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის წარმატებულობას განაპირობებს სკოლაში არსებული უსაფრთხო სასწავლო გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს შეუძლია გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები და მიიღოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. კვალიფიციური პერსონალის მთავარ მიზანს წარმოადგენს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის საჭირო სოციო-კულტურული სივრცის შექმნა. სკოლა, ასევე, ზრუნავს მოსწავლის სოციალური და ფსიქო-ემოციური უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნული ხორციელდება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მუდმივი კომუნიკაციის პირობებში, აზრთა გაზიარების გათვალისწინებით, ყველას მიეცეს პიროვნული და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა. როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს სკოლას შემუშავებული აქვს იმგვარი მარეგულირებელი ნორმები, სკოლის შინაგანაწესის სახით, სადაც გათვალისწინებულია როგორც პასუხისმგებლობის ზომები, ისე წახალისების მექანიზმები. სასკოლო საზოგადოებისათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო.

სკოლის სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, საკლასო ოთახები, სკოლის ეზო, რესურსოთახი იმგვარადაა მოწყობილი და აღჭურვილი, რომ სკოლამ ხელი შეუწყოს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარებას, ღირებულებების გაზიარებას, პატივისცემასა და რეალიზებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, განხილული და შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებთან, გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები), სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად, 2023 წელს 20 სექტემბერს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ასევე დამტკიცდა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, პირველივე სხდომაზე შემუშავდა სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვისა და ღირებულებების) პროექტი, რომელიც განხილული იყო პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. სკოლამ სხვადასხვა კვლევითი ინსტრუმენტების გამოყენებით (დამრიგებლებმა-მშობელთა კრებებზე, მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, მასწავლებლებთან-კათედრების სამუშაო შეხვედრებზე) ჩაატარა მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების გამოკითხვა. დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით, გამოიკვეთა გარკვეული საჭიროებები, რომელთა საფუძველზეც დადგინდა პრიორიტეტები, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლის სამომავლო განვითარებას. გაკეთდა ანალიზი, რათა შემდგომში ჯგუფი შეჯერებულიყო სასკოლო ფილოსოფიის კონკრეტულ დებულებებზე. სამუშაო ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ როგორც სკოლის პერსონალი, ისე მოსწავლეები და მშობლები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისია განხილულია სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს მიერ. ასევე, გამოკრულია სკოლაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, გამჭვირვალობის პრინციპის გათვალისწინებით, სკოლის ფილოსოფიის განმსაზღვრელი დოკუმენტების (მისია, ხევდა და ფილოსოფია), და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაზიარებისათვის გამოყენებულია შემდეგი საშუალებები: სკოლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა; სოციალური ქსელი; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან; მშობელთა კრებები. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია და ხედვა საჯაროა თითოეული დაინტერესებული პირისთვის: აიტვირთა სკოლის ვებგვერდზე, გამოიკრა საინფორმაციო დაფაზე, სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე დამრიგებლებმა მშობლებს გააცნეს სკოლის ფილოსოფია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რომელიც განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერებიოს მინისტრის N448 ბრძანებით :
სსიპ ქალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლა
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის N 3-635 ბრძანება სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი შექმნის შესახებ;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ვებგვერდი https://skolebi.emis.ge/ ;
- N 3-634 ბრძანება სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.
- სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით. ჯგუფის შემადგენლობაში არიან დირექციის წარმომადგენლები, პედაგოგები, ფსიქოლოგი, მშობლები. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია სკოლის პრიორიტეტებისა და ინტერესების მექანიზმი. სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცდა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიით განისაზღვრა აგრეთვე შესაბამისი დოკუმენტების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხები, პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლის სტრატეგიული გეგმა არის 7 წლიანი და ყოველ 7 წელიწადში ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მოხდება მუშაობა, რაც მის ციკლურობაზე მეტყველებს. სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან, ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს, სტრატეგიული გეგმა მოიცავს მიზნების შესაბამის ამოცანებს სკოლის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლაში შემუშავებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც სკოლის სტრატეგიული გეგმის მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. სკოლის ერთწლიანი გეგმა დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ და განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, ხედვიდან და სკოლის პრიორიტეტებიდან. სკოლის სამოქმედო გეგმაში აღწერილია განსახორციელებელი ამოცანები და განხორციელების გზები: სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, უსაფრთხო, ჯანსაღი და ორგანიზებული გარემოს შექმნა, სადამრიგებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირების ხელშეწყობა, პედაგოგთა პროფესიული განვითარება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება: სკოლის კომპიუტერიზაცია, ტექნიკურად აღჭურვის ხელშეწყობა, ბიბლიოთეკის ეფექტური ფუნქციონერების ხელშეწყობა; სკოლის მართვა და გადაწყვეტილებები: საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, ფინანსური მართვა და კონტროლი, სკოლის პარტნიორული ურთიერთობების ხელშეწყობა. ერთწლიან გეგმაში თვეების მიხედვით დეტალურადაა გაწერილი წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მითითებით. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დგება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმიდან და იგი მოიცავს, როგორც სტრატეგიულ მიზნებს, ასევე ამოცანებს, აქტივობებს, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურებს, შესრულების ვადებს, ინდიკატორებს და რესურსებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის N 3-635 ბრძანება სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი შექმნის შესახებ;
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა - 2023-2030 წლები;

- N 3-634 ბრძანება სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესახებ;
- სამეურვეო სხდომის ოქმი სკოლის სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ერთ-ერთი საფეხურია შესრულების მონიტორინგის მექანიზმი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ყოველი სასწავლო წლის ბოლოს განახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით გაიმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც დაესწრებიან სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავმჯდომარე დეტალურად განიხილავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. სამუშაო ჯგუფის შეხვედრას აოქმებს სამუშაო ჯგუფის მდივანი. ამასთან, ის უზრუნველყოფს წერილობითი ანგარიშებისა და მტკიცებულებების შეგროვებას. ამავე სხდომაზე გაანალიზდება შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობები მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ. მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს

ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება სპეციალური ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით გამართულ გაერთიანებული შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არის საჯარო. ასევე, აღნიშნული გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შედეგები იქნება საჯარო თითოეული დაინტერესებული პირისთვის. სამუშაო ჯგუფის მუშაობის დასრულების შემდგომ სკოლა უზრუნველყოფს დოკუმენტის საჯაროდ წარდგენას, განთავსდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე, მშობლებთან შეხვედრებზე, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და სხვ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

   სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში დეტალურადაა მიმოხილული სამომავლო აქტივობები და განსახორციელებელი ნაბიჯები. შესრულების შედეგების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის დანერგვა ემსახურება სკოლის საჭიროებების სისტემატურ დადგენასა და სამომავლო განვითარებას.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. გეგმის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება სკოლის როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები, ისე საფრთხეები და შესაძლებლობები. სისუსტეების იდენტიფიცირებისა და ჩატარებული სამუშაოების შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში შევა ცვლილება სტრატეგიულ დაგეგმარებაში და მიღებული გამოცდილებას გავითვალისწინებთ მომავალი სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**
   სკოლაში, როგორც სტრუქტურული ერთეულების, ისე დასაქმებული პირების ფუნქციები განსაზღვრულია სხვადასხვა დოკუმენტებში. დასაქმებულ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მკაფიოდაა განსაზღვრული მათი ვალდებულებები. ასევე დეტალურადაა გაწერილი დასაქმებულთა ფუნქციები სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში.
   დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის სტრუქტურა. იგი შედგება სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, მასწავლებლების, ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალის, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტებისაგან. სკოლაში ფუნქციონირებს აგრეთვე კანონით განსაზღვრული კოლეგიური სტრუქტურული

ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი და მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის ბრძანებით შექმნილია აგრეთვე საინვენტარიზაციო კომისიები. სკოლის დირექტორი საქმინობას ახორციელებს ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, აგრეთვე სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსით, სამეურეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომითი ხელშეკრულებებში დეტალურადაა განსაზღვრული მათი უფლება-მოვალეობები, თუმცა, იმ მასწავლებელებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ დამრიგებლის ფუნქცია, აგრეთვე ხელმძღვანელობენ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დამრიგებლის მუშაობის დებულებით. ამასთან მასწავლებლებისათვის სავალდებულოა მასწავლებელის პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული დებულებებით ხელმძღვანელობა. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, გარდა სკოლასთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა, ითვალისწინებენ მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციებსა და ინკლუზიური განათლების მიმართულებით სამინისტროს მიერ გამოყოფილი კოორდინატორის მითითებებს.

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები (პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი) ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობენ ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით'' გაწერილი უფლებამოსილების ფარგლებში. პედაგოგიურ საბჭო შედგება სკოლის ყველა მასწავლებლის, მათ შორის ადმინისტრაციის წევრებისგან, რომლებთანაც, ასევე, გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები როგორც საგნის მასწავლებელთან და სპეციალური მასწავლებელი. სამეურვეო საბჭო შედგება თანაბრად არჩეული მასწავლებლებისა და მშობლებისგან სამეურვეო საბჭოში, ასევე, სათათბირო ხმის უფლებით შედის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე.

სკოლაში არის 8 საგნობრივი კათედრა, რომლებშიც გაერთიანებული არიან პედაგოგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. კათედრები თავის საქმიანობას ახორციელებენ სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული კათედრის დებულებით.

სკოლაში სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც იხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. დისციპლინურ კომიტეტში თანაბარი რაოდენობით შედის 2 მოსწავლე, 2 მასწავლებელი და 2 მშობელი. მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლაში არჩეულია სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, საბაზო და

საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან, ერთი წლის ვადით. თავის მხრივ, შესაბამისი საფეხურების თვითმმართველობებმა აირჩიეს თავმჯდომარეები.

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისიები, რადგან სკოლის მასწავლებლებისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მიღება ხდება კონკურსის წესით. საკონკურსო კომისიების შემადგენლობა შესაბამისობაშია მინისტრის ბრძანებებით განსაზღვრულ წესთან. სკოლას ჰყავს მანდატურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ისინი ხელმძღვანელობენ მანდატურის ეთიკის კოდექსითა და მათი საქმიანობის მარეგულირებელი სხვა აქტებით. სკოლის ექიმი და ექთანი გარდა შრომითი ხელშეკრულებისა, ფუნქციების განხორციელებისას ხელმძღვანელობენ სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/ პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

   სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებულ, ეფექტიან და პროდუქტიულ განხორციელებას და დადებითად აისახება საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე. სკოლის სტრუქტურული ერთეულები და პერსონალი შერჩეულია სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე. თითოეული დასაქმებულის ძალისხმევითა და ურთიერთთანამშრომლობით სკოლაში არაერთი წარმატებული პროექტი ხორციელდება. სკოლის სტრუქტურის თითოეულმა წევრმა იცის საკუთარი მოვალეობები და როლი სასკოლო საზოგადოებაში. სკოლაში არსებული კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიები და ჯგუფები მუშაობენ კოლეგიურობის პრინციპით.

სკოლის მიერ შემუშავებული თანამდებობრივი ინსტრუქციით გაწერილია ანგარიშვალდებულების სისტემა, თუ ვის ექვემდებარებიან და ვის წინაშე არიან უშუალოდ ანგარიშვალდებულები საქმიანობის განხორციელებისას. სკოლის პერსონალი და სტრუქტურული ერთეულები ანგარიშვალდებულნი არიან სკოლის დირექტორის წინაშე. სკოლის სტრუქტურული ერთეულები და თანამშრომლები ჩართულები არიან სასკოლო ცხოვრებაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის დებულების დამტკიცება ბრძანებით N3-629;
- დამრიგებლის მუშაობის დებულების ბრძანება N3-572;
- სკოლის თვითმმართველობის დებულება ბრძანებით N3-662;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება N3-509 და წესი;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, ბრძანება N3-27;
- სამედიცინო დახმარების წესის პროტოკოლი (დანართი)
- სკოლის კათედრის დებულება ბრძანებით N3-610;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება N2-49;
- მრჩეველთა საბჭოს ჯგუფის ცვლილება ბრძანება N3-478;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი N1 და N2;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები (სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო; პედსაბჭო, თვითმართველობა, დისციპლინარული)
- სკოლის სტრუქტურა;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სკოლაში შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 26 სექტემბრის №7 სხდომის ოქმით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავების მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. კვალიფიციური კადრების უზრუნველყოფას მნიშვნელოვანი როლი აქვს როგორც სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, ასევე, სკოლის ორგანიზაციულ განვითარებაში.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განვითარებისთვის სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა, რომლის მიხედვითაც ხდება პროცესის წარმართვა. გარდა ამისა, აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა საჭიროებების დადგენა და შესაბამისი აქტივობების ორგანიზება. ზოგადად, სკოლაში ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება: სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით; საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი და რელევანტური ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების დაგეგმვით; ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავების გზით, დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდების გზით; იმგვარი გარემოს შექმნით, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის.

სკოლაში მოქმედებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები: სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; წესრიგისა და სკოლის კუთვნილი ქონების დაცვა; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური; სკოლას ჰყავს კვალიფიკაციური ექიმი და ექთანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში პირველადი დახმარების გაწევას, როგორც სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის, ასევე, სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის. იმ შემთხვევაში თუ მასწავლებელს უწევს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სკოლის გაცდენა, კათედრაზე ხდება მისი შესაბამისი საგნის ჩანაცვლება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

   პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ემსახურება სკოლის საჭიროების მიხედვით შესაბამისი კვალიფიციური კადრის მოძიებასა და შენარჩუნებას. თანამშრომელთა სკოლაში მიღების, შრომითი ურთიერთობის პირობებისა და გათავისუფლების წესი დადგენილია სკოლის შინაგანაწესით. გათავისუფლების წესები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებებით.

   მასწავლებელთა შერჩევა და სამსახურში მიღება, კანონმდებლობით განსაზღვრული წინაპირობებიდან გამომდინარე, რეგულირდება ცალკე შემუშავებული დოკუმენტის „ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის“ შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული წესით განსაზღვრულია: კონკურსის მიზნები და ამოცანები, კონკურსის პრინციპები, კონკურსის გამოცხადება, კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადებების წარდგენა, კონკურსის ჩატარების პროცედურა, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწვეტილების მიღების წესი და კონკურსის შედეგები, კონკურსის შედეგების გასაჩივრება.

მასწავლებელთა ვაკანტური ადგილის შევსების მიზნით, განცხადებების გავრცელება/გამოქვეყნება ხდება teacherjobs.ge-ზე. კონკურსის სამართლიანად, ობიექტურად, მოუკერძოებლად და გამჭვირვალედ ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით განისაზღვრება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც ასევე გათვალისწინებულია გარედან მოწვეული პირები: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლები.

რაც შეეხება სხვა დასაქმებულებს, მათი დასაქმება შესაძლებელია როგორც კონკურსის საფუძველზე, ისე მის გარეშე, გასაუბრების გზით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მასწავლებელების შერჩევისას გათვალისწინებულია ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, ეროვნული სასწავლო გეგმა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი". სკოლაში არის 1 მენტორი მასწავლებელი, წამყვანი-25, უფროსი-83.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

პერსონალის მართვის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს. პედაგოგიური საბჭოს, კათედრების მუშაობა სკოლის მიზნების განხორციელებას ემსახურება. ღონისძიებათა დაგეგმვა, ინტეგრირებული გაკვეთილების მომზადება, გაზიარება, მოსწავლის აკადემიური მოსწრების ამაღლებაზე ზრუნვა-მსჯელობა და გზების დასახვა, თანამშრომლობით პრინციპებზეა დამყარებული, ეს კი უზრუნველყოფს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

გუნდური/თანამშრომლობითი ორგანიზაციული კულტურის შექმნისთვის ყველა კათედრას გამოყოფილი აქვს თავისი ოთახი, სადაც განთავსებულია სამუშაო მაგიდები, კომპიუტერები, პროექტორი, სასწავლო რესურსები და სხვა. თავისუფალ დროს იკრიბებიან თანამშრომლები და გარდა კათედრის სხდომებისა, მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია, როგორც სამომავლო გეგმებთან დაკავშირებული, ასევე არსებული პროექტების მიმდინარეობაზე, შესაძლო გადაწყვეტილებებზე თუ სხვა.

კოლეგიალობისა და გუნდური მუშაობის მაგალითს წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესი, რომელშიც აქტიურად არის ჩართული სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის წევრებიც აქტიურად თანამშრომლობენ სკოლის პედაგოგებთან პრინციპით „კრიტიკული მეგობარი". სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

   სკოლაში წარმატებით ხორციელდება გამოცდილების გაზიარება ურთიერდასწრების გზით. მასწავლებლები ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, საერთო პროექტებსა და ღონისძიებებს, რაშიც ხელს უწყობს სკოლის ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მატერიალური რესურსით. სკოლაში მოწყობილია შესაბამისი საერთო სამუშაო სივრცე მასწავლებლებისთვის (სამასწავლებლო, ინფორმაციული-ტექნოლოგიების კაბინეტი), რაც ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციას. სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. შინაგანაწესის თანახმად პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის და ა.შ.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის დებულების დამტკიცება ბრძანებით N3-629;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კონკურსის გამოცხადების წესი ბრძანება N 3-477;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ოქმი N7;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**
   სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, სკოლის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით. ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას. თანამშრომლების საქმიანობის შეფასება და მათთვის შესაბამისი უკუკავშირის მიცემა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი საკადრო მართვის სისტემაში. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი. ჯგუფის შექმნის მიზანია, სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება.
   ხარისხის ჯგუფი ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას, ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას და შეფასებას; მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე, საჭიროების შემთხვევაში, ადგენს გაკვეთილებზე დასწრების განრიგს; მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს/სტრატეგიებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს, პროფესიული განვითარების მიზნით, რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვაში.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებს აფასებს მისი უშუალო ხელმძღვანელი იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც დაკისრებული აქვთ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი წელიწადში ორჯერ აფასებს შესრულებულ სამუშაოს, გამოკვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, შემდეგ კი შედეგების ანალიზის საფუძველზე წლის ბოლოს გეგმავენ მიზნობრივი განვითარების პროცესს. დაგეგმვა-განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან აქტივობებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებულ სერვისებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

მასწავლებლებისათვის კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე, რაც ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომია. მასწავლებლების კარიერული ზრდის მექანიზმი გაწერილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში. მხარდამჭერი ჯგუფი შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებთან ერთად იკრიბებიან პერიოდულად, ისმენენ მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად გეგმავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებას, რომლის განხორციელების პროცესშიც სკოლა მხარდამჭერის როლს ასრულებს. ასევე სკოლის სხვა პერსონალისათვის წლის განმავლობაში იგეგმება სხვადასხვა ტრენინგები, მაგალითად: ჭადრაკის მასწავლებელმა- სწავლა-სწავლების თანამედროვე სტრატეგიების გამოყენება ჭადრაკის სწავლებისას, სსსმ მოსწავლის ასისტენტებმა- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მომხადების კურსი, სკოლის ექიმმა - საქართველოს სკოლის ექიმთა ასოციაციის მიერ განხორციელებული ტრენინგი - საქართველოს სკოლის ექიმთა უწყვეტი პროფესიული განათლება, ბუღალტერმა-ფინანსთა სამინისტროს აკადემის ტრენინგი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები განსაზღვრულია ადამიანური მართვის პოლიტიკაში, რომელშიც აღწერილია ახალი თანამშრომლის კოლექტივთან ადაპტაციისა და სოციალიზაცის სივრცე. წესის შინაარსიდან გამომდინარე ადაპტაციის პროცესს სკოლა იწყებს სამუშაოს დაწყებამდე და დოკუმენტში ასევე აღწერილია თითოეული აქტოვობა, პასუხისმგებელი პირი და აქტივობის განხორციელების პერიოდი. სკოლის მატერიალურ - ტექნიკური რესურსი ისეა მოწყობილი, რომ იძლევა საშუალებას დასაქმებულმა წარმატებით გაიაროს ადაპტაციის ეტაპები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლას შემოშავებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომლის თანახმად განსაზღვრულია პერსონალის წახალისების სახეები და გამოყენების წესი, გასულ წლებში სკოლა იყენებდა წახალისების სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ექსკურსიების დაფინანსებას, სადღესასწაულო შეხვედრების ორგანიზებას და სხვა. ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე აღნიშნული აქტივობები ვერ ხორციელდება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნისა და მათი დებულების დამტკიცების შესახებ ბრძანება N2-573;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად; ამ საქმიანობის მართვა წარმოადგენს ერთიან პროცესს, რომელიც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით, ეროვნული სასწავლო და სასკოლო სასწავლო გეგმებით. სკოლის საქმიანობა უწყვეტი პროცესია, რომელიც ხორციელდება წინა სასწავლო წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, ძირითადი მნიშვნელოვანი მოვლენების საფუძველზე იგეგმება ახალი სასწავლო წელი. ადმინისტრირების ნაწილი მოიცავს: სკოლის ფილოსოფიას, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს; საფეხურების მიხედვით გაწერილ ამოცანებს, საგანმანათლებლო პრინციპებს, საგნობრივი პროგრამების მეთოდიკურ ორიენტირებს, არაფორმალური განათლების, ინკლუზიური განათლების, მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკას, რესურსებს და სასწავლო გეგმის მონიტორინგისა და სწავლა-სწავლები ხარისხის მართვის საკითხებს.

წარმატებული საგანმანათლებლო გარემოს და ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად ხორციელდება ორი ტიპის შეფასება:

შიდა ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპს:

დაგეგმე-ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განისაზღვრება შესასრულებელი სამუშაო, განხორციელების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები;

განახორციელე- განახორციელოს დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით;

შეამოწმე-ანალიზისათვის შეამოწმოს სხვადასხვა აქტივობები, როგორებიცაა სკოლაში მიმდინარე პროცესების სკოლის ფილოსოფიასთან შესაბამისობის დადგენა, შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი, სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების კვლევა-გამოვლენა-ანალიზი-შეფასება, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კურიკულუმის არსებობის შემოწმება, მატერიალური ბაზისა და სასწავლო რესურსების შემოწმება, საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო ადამიანური რესურსების შემოწმება, მოსწავლეთა მხარდამჭერი პროგრამების/აქტივობების ეფექტურობის ანალიზი, სკოლის კურსდამთავრებულთა შედეგების ანალიზი და ა.შ

განავითარე-სკოლამ უნდა განსაზღვროს ნაკლოვანების მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები. ნაკლოვანების არარსებობის შემთხვევაში, დასახოს არსებული ვითარების განვითარების მექანიზმები. რაც შეეხება მეორე ტიპის შეფასებას - გარე შეფასების სისტემა - იგი მოიცავს როგორც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგს, ასევე, ყოველ 9 წელიწადში ერთხელ ავტორიზაციის მიზნით შესაბამისი ექსპერტების მიერ სკოლის ფილოსოფიის, სასკოლო კურიკულუმების, მატერიალური და ადამიანური რესურსების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები გაწერილია სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებში: სასკოლო კურიკულუმში, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში, სკოლის შინაგანაწესში. სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს აგრეთვე იმ საკანონმდებლო რეგულაციებით, სადაც აღწერილია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების ფუნქციები. თანამდებობრივ ინსტრუქციებში კი იდენტიფიცირებული და აღწერილია თითოეული სტრუქტურული ერთეულის შესასრულებელი ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები. სკოლაში იდენტიფიცირებულია მმართველობითი,ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები, და მშობლები /კანონიერი წარმომადგენლები იცნობენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს, რომელიც ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და შესაბამის ეთიკის კოდექსებში. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, რომლებიც ასრულებენ კანონმდებლობით (შინაგანაწესი და სხვ.) გათვალისწინებულ ფუნქცია-მოვალეობებს და ხელს უწყობენ დაცულობისა და უსაფრთხოების ატმოსფეროს შექმნას სკოლაში. ამას არეგულირებს სკოლის სასკოლო გეგმა. არეგულირებს მოსწავლის მიერ შეფასების გასაჩივრების და გამოცდის ჩატარების წესს.

სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრის უფლება დაცულია როგორც შესაბამისი მუხლებით სკოლის შინაგანაწესში, ასევე მის დაცვაზე მუდმივად ზრუნავს და მონიტორინგს ახორციელებს მანდატურის სამსახური, დისციპლინური კომიტეტი, სკოლის მრჩეველთა და სამეურვეო საბჭოები. სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს უფლება აქვს, გაასაჩივროს მასწავლებლის, სკოლისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. საჩივრის წარდგენის უფლება აქვთ და მისი განმხილველი ორგანო არის სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს მიერ საჩივრის განხილვა ხდება ერთი თვის ვადაში თუ კანონით კონკრეტული ვადა არ არის გათვალისწინებული. სკოლაში კონკურსის ჩატარებისას, კანიდიდატს შეუძლია საკონკურსო კომისიის და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში კონკურსის დებულებით გათვალისწინებულ ვადებში და შესაბამისი წესით. საჩივრების მიღება და განხილვა ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების გაცნობის მიზნით სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე, ასევე კლასის საათის ფარგლებში ხდება შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმების გაცნობა, ინფორმირება უფლება-მოვალეობების შესახებ. სკოლას აქვს პრაქტიკა: მშობლები შინაგანაწესის, სასკოლო-სასწავლო გეგმის და სხვა აუცილებელ ინფორმაციის გაცნობას ადასტურებენ ხელმოწერით, რომელსაც უზრუნველყოფს კლასის დამრიგებელი. სკოლის პერსონალის ხელშეკრულებებში ზუსტად არის განსაზღვრული დასაქმებულის უფლება-მოვალეობები. ხოლო სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულებით, რომელიც ფორმდება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. სკოლაში განსაზღვრულია აგრეთვე პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების წესი. რაც შეეხება ამ უფლებების შესახებ ინფორმირებას აღნიშნული ხდება სხვადასხვა მექანიზმებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი დამტკიცებული 2021 წლის 5 იანვარს, ბრძანება N2-573;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დებულების დამტკიცება ბრძანებით N3-629;

- კონკურსის გამოცხადების წესი ბრძანება N 3-477;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი N1 და N2;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცება N2-17;
- პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება N2-18;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები ციკლური პროცესია. სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი უწყვეტი თანამშრომლობის რეჟიმში ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას. კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებს და საჭიროების შესაბამისად იკრიბება პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოები.

ინფორმაციის მიწოდებისა და უკუკავშირისთვის სკოლა იყენებს როგორც პირისპირ კონტაქტებს, ასევე ციფრულ საშუალებებს. სოციალურ ქსელში სკოლის გვერდებს-სკოლის შიდა დახურულ Facebook ჯგუფს, დამრიგებლების მიერ კლასების მიხედვით შექმნილ მესენჯერ ჯგუფებს, სკოლის ელექტრონული ფოსტას, Microsoft Teams-ის პლატფორმაზე შექმნილ ჯგუფებს, სატელეფონო კომუნიკაციას და ელექტრონულ ჟურნალს. სკოლის სოციალური გვერდები საშუალებას იძლევა ამავე გვერდის მესენჯერ ჩატში მომხმარებელმა ნებისმიერ თემაზე მიმართოს კითხვით, რომელსაც მყისიერად პასუხობს ჩატზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლისათვის მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს მონაწილეობის, საკუთარი აზრის გამოთქმისა და პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები

სურვილის შემთხვევაში მონაწილეობას იღებენ სამეურვეო საბჭოს, კათედრის თავმჯდომარის, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის, და ა.შ. არჩევნებში. მათ უფლება აქვთ, დააყენონ თავიანთი კანდიდატურა, აწარმოონ საარჩევნო კამპანია, ასევე ხმა მისცენ სასურველ კანდიდატს. როდესაც სკოლაში ირჩევა ახალი სამეურვეო საბჭო, წევრობის კანდიდატების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. სკოლის მოსწავლეთა მშობლები და მასწავლებლები ინფორმირებული არიან არჩევნების წესის შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- ბრძანება N2-22 მშობლებთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის, სტრატეგიის) დამტკიცების შესახებ;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნისა და მათი დებულების დამტკიცების შესახებ N2-573;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ოქმი N7;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ 2019 წლის 21 თებერვალი ბრძანება 2-49;
- მრჩეველთა საბჭოს ჯგუფის ცვლილება 2025 წლის 23 სექტემბერი ბრძანება N3-478;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სოციალური ქსელი - https://www.facebook.com/share/1CXUcMs1Ff/?mibextid=wwXIfr;
- ვებ - გვერდი. https://skolebi.emis.ge/schools/259?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20;
- ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება N2-450
- კონკურსის გამოცხადების წესი ბრძანება N 3-477;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

   სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; სკოლის ტერიტორია შემოღობილია. შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის რეგულაციები და დამტკიცებულია. დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, სკოლაში შექმნილია საგანგებო რეაგირების შტაბი და განაწილებულია ფუნქციები. სკოლას განსაზღვრული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სამუშაოების ხასიათის მიხედვით ასრულებს სახანძრო უსაფრთხოების შესაბამის წესებს და მოქმედებს შესაბამისად. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა.

სკოლაში უსაფრთხოებას, ასევე, უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური. სკოლაში შიდა პერიმეტრზე განთავსებულია 25 ვიდეო კამერა, გარე პერიმეტრზე 2, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ეფექტიანად მოხდეს ნებისმიერი ფიზიკური უთანხმოების თუ ჯანმრთელობის/სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ქმედების პრევენცია/რეაგირება. სკოლას გაგზავნილი აქვს განაცხადი შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ შენობის მდგრადობაზე. სკოლის შენობის დაცვაზე პასუხისმგებელი არის სადღეღამისო რეჟიმში მომუშავე დარაჯები, რომლებიც აღრიცხავენ სკოლაში შემომსვლელ და გამსვლელ პირებს. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. სკოლიდან მოსწავლის გასვლა სასწავლო პროცესის დროს დაშვებულია საშვით, რომელიც

შეთანხმებულია მშობელთან. სკოლის ინფრასტრუქრურული თავისებურებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა გადანაწილება ხდება შემდეგი პრინციპით-სკოლას აქვს ორი ფლიგელი, რომელიც იზოლირებულია ძირითადი კორპუსისაგან და სადაც განთავსებულნი არიან I-IV კლასის მოსწავლეები, ხოლო დანარჩენი მოსწავლეები ძირითად კორპუსში. სკოლას ჰყავს ორივე ფლიგელში მომუშავე ექიმი და ექთანი.

სკოლამ წერილობით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს სკოლის შენობების მდგრადობის შესახებ.სკოლას მიეცა **რეკომენდაცია:**სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა .

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არის სამედიცინო კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარების საშუალებებით, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის. მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი სრულყოფილი განვითარებისათვის სკოლაში გვყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი და ექთანი. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, სადაც გათვალისწინებულია სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების პროტოკოლი. ვიზიტის დროს დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზი: სამედიცინო კაბინეტებში არ არის სამედიცინო შირმა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სამედიცინო დახმარების პრივატულობას.სკოლის მიერ არგუმენტირებული პასუხის გამოგზავნასთან ერტად გადმოგზავნილია სამედიცინო შირმის სესყიდვის ამსახველი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის პერსონალი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით“. ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხელშემწყობია სკოლის მრჩეველთა საბჭო. სკოლაში მანდატურის სამსახურის მხრიდან უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების ჩატარების პროცედურა საჯარო სკოლებისათვის განსაზღვრულია კანონმდებლობით და ხორციელდება დეტექტორით. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილება. შემუშავებულია და პრაქტიკაში დანერგილია საშვთა სისტემა. სკოლის კარს აკონტროლებს დარაჯი, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში სპეციალური საშვით და ჟურნალში გატარების შემდეგ უშვებს სტუმარს სკოლაში. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე ხორციელდება დროული და ეფექტიანი რეაგირების ღონისძიება. სკოლა აქტიურად ჩაერთო მანდატურის სამსახურის მიერ

დაგეგმილ კამპანიაში-„მე მომავალში“, სადაც პროექტით გათვალისწინებულ საკითხებზე, როგორიცაა მაგ: ბულინგი, მოსწავლეებმა წარმოადგინეს კომიქსები და ესეები. სასწავლო წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა საინფორმაციო ხასიათის აქტივობები, ისეთ თემებზე, როგორიცაა: ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ; დისკრიმინაციის წინააღმდეგ; ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე და სხვ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის შინაგანაწესის, სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის, ახალი თანამშრომლისა და მოსწავლის ადაპტაციის წესის, სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილის, სადამრიგებლო პროგრამებისა თუ შემოქმედებითი დავალებების იდეების შინაარსების მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც საჭიროების გამოვლენისთანავე უზრუნველყოფს მოსწავლისათვის დროულ, ხელმისაწვდომ და ხარისხიან ფსიქოლოგიურ მომსახურებას. სკოლის ფსიქოლოგი ასევე მუშაობს პედაგოგებთან, რათა მოხდეს კოლექტივის გაძლიერება ბავშვთა საჭიროებების ამოცნობასა და მათზე ჯეროვნად რეაგირებაში. გარდა კლასის დამრიგებლისა, კლასში შემსვლელი მასწავლებელი, ყველა საგნობრივ კონტექსტში, ფოკუსირებულია არა მხოლოდ აკადემიური უნარების, არამედ ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზეც. მასწავლებლის მხრიდან მხარდაჭერილია განსხვავებულობა ნებისმიერი ნიშნით. შესაბამისად, გაზრდილია მოსწავლეთა სოციალური კომპეტენციების და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მაჩვენებელი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის მექანიზმი. სკოლას საშტატო განრიგით ჰყავს 10 დამლაგებელი, სკოლის ტერიტორიაზე დასუფთავების მონიტორინგს ახდენს სკოლის ექიმი და ექთანი. დასუფთავების მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღე და დასტურდება დოკუმენტურად ცხრილით, ანგარიშით. საკლასო ოთახების და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახების დალაგება ხორციელდება მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების მდგომარეობაში. რადგან სკოლა ორცვლიანია, ოთახები ლაგდება დღეში ორჯერ. სანიტარულ-ტექნიკური აღჭურვილობის დასუფთავება ხდება ყოველდღიურად სადეზინფექციო საშუალებებით. სკოლაში განცალკევებით ინახება სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოყენებული, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი, სათანადოდ მარკირებული ინვენტარი, რომელიც ექვემდებარება დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ. ასევე, სკოლის სათავსების დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ,

ჩაკეტილ კარადაში, პირვანდელი შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე გოგონების და ცალკე ვაჟებისთვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის არსებობს სანიტარული კვანძი დამოუკიდებელი შესასვლელით. პირველ სართულზე განთავსებულია სსსმ პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილი. სველი სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი.

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები და განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და დაცვის პროცესის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები. სკოლის პეროსონალსა და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პერსონალური ინფორმაციის გაცემის პირობები. მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში გაწერილია მოსწავლის პირადი ინფორმაციის, ფოტო/ვიდეო მასალის დამუშავებისა და გამოყენების პირობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები მოიცავს ინფორმაციის დაცვის პრინციპებს. დოკუმენტით განსაზღვრულია დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი ელექტრონული პროგრამის (teams) გამოყენების შემთხვევაში, მოსწავლის მონაცემების დაცვა ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას, მონაცემების დაცვა ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის გამოყენებისას, მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას, მონაცემების დაცვა ვაკანსიების პორტალზე სკოლის გვერდის მართვისას. შემუშავებული წესის თანახმად განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილებები, მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდების და მონიტორინგის განხორციელების წესი. სკოლის დირექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დოკუმენტის გაცნობას სკოლაში დასაქმებული პირების,

მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისათვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ყველა დაინტერესებულ პირს განუმარტავს პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლის შიდა სამართლებრივი აქტებით განისაზღვრება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები. სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირებას. მაგალითად დარაჯების მუშაობა . მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხები, რომელიც იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება 2-17 (17.02.2021) „სსიპ ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების“ შესახებ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება 3-644 (28.09.2023) „სსიპ ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლის მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების ჩარჩო დოკუმენტის“ შესახებ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება 3-652 (28.09.2023) „სსიპ ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმების“ შესახებ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება 3-654 (28.09.2023) „სსიპ ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლის „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის“ შესახებ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება 3-642 (28.09.2023) „სსიპ ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ“

- სკოლის დირექტორის ბრძანება 3-572 (19.09.2022) „სსიპ ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულების დამტკიცების შესახებ.“
- სკოლის დირექტორის ბრძანება 2-18 (17.02.2021) „სსიპ ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის“ შესახებ;
- N 64385 წერილი შენობების მდგრადობის შესახებ;
- N 150737 წერილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან დაკავშირებით.
- შესაბამისობის გეგმაშეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**
   სსიპ ქალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლა განთავსებულია ერთ ოთხსართულიან და ერთ სამსართულიან შენობებში, სამსართულიან შენობაში განლაგებულია პირველი-მეოთხე კლასები, ხოლო მე-5-12 კლასები სასწავლო პროცესს ახორციელებენ ოთხსართულიან შენობაში. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამისი და მოწესრიგებული ფიზიკური გარემოთი, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფილად და უწყვეტად წარმართვას. მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად მოწყობილია საკლასო ოთახები. თითოეული საკლასო

ოთახი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, მოსწავლეთა უზრუნველსაყოფად. ერთ ცვლაში საკლასო ოთახები მოსწავლეთა სრულ კონტინგენტზე არ არის გათვლილი და რადგანაც სკოლა მუდმივად მზარდია, ასევე ძალიან მოთხოვნადია, მუშაობს შეჭრილად ორ ცვლაში (დილის 8:30 საათიდან საღამოს 19:00 საათამდე). ამ ეტაპზე სკოლა საკუთარი ფართით სარგებლობის საშუალებას აძლევს სსიპ 179-ე საჯარო სკოლას, რამდენადაც იმ სკოლის შენობა ახლა შენდება თავიდან. შესაბამისად, საკლასო ოთახები მეორე ცვლაში ეთმობა იმ სკოლის სასწავლო პროცესის წარმართვას.

აქვს ერთი კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილი სათანადო ტექნიკით. სკოლის ყველა მასწავლებელს აქვს სკოლის ბალანსზე რიცხვული პერსონალური კომპიუტერი. ასევე, სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს დამონტაჟდა wi-fi.

სკოლას აქვს 2 სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის 2 რესურს ოთახი, 2 სპორტული დარბაზი და 2 მოედანი შესაბამისი ინვენტარით.

თითოეულ სართულზე არის განთავსებული მასწავლებლებისათვის, გოგონებისა და ვაჟებისთვის სველი წერტილები. ადაპტირებული აქვს სველი წერტილები შშმ პირებისთვის. მათ ემსახურებათ სკოლის ბალანსზე რიცხული მიკრო ავტობუსი. სკოლის შენობაში განთავსებული პანდუსებით შესაძლებელია პირველ სართულზე განთავსებული სივრცეებით სარგებლობა.

სკოლაში ეზოში განთავსებულია ფანჩატური, რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესისთვის და მშობლებთან შეხვედრისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს სასადილო. სკოლას არ აქვს სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორია. სკოლამ მიმართა რესურსცენტრს დახმარებისთვის რათა მოხდეს სათანადო რესურსებით მხარდაჭერა და ლაბორატორიის მოწყობა.

სკოლას არ აქვს ლიფტი და მოძრავი პანდუსები და ამის უზრუნველსაყოფად N77108 წერილით მიმართა რესურსენტრს, რათა მოხდეს გამგეობასთან შუამდგომლობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა თანაბრადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის, საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენება ხდება წინასწარი შეთანხმებით. სკოლის სააქტო დარბაზი ეთმობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებს. ბიბლიოთეკით სარგებლობენ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები. ბიბლიოთეკარი აღრიცხავს და აკონტროლებს გატანილ წიგნებს თუ სხვა რესურსებს და მათი დაბრუნების ვადებს. სკოლას აქვს ვრცელი და ნათელი დერეფნები, რაც საშუალებას აძლევს მიენიჭოს მათ მეტი ფუნქციური დატვირთვა. სკოლაში არსებული

კომპიუტერული ოთახი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით. სკოლას აქვს ორი სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი სპორტული ინვენტარით. სკოლაში არის პედაგოგებისთვის სამუშაო სივრცე შექმნილი სამასწავლებლოში, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკითა და ხარისხიანი ინტერნეტით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც მუშაობს შემუშავებული დებულების მიხედვით, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკის მიზნები და ამოცანები და სარგებლობის წესი. ყველა წიგნი დამუშავებულია ბიბლიოთეკის წესით, მიმდინარეობს აღრიცხვა გატანილი წიგნებისა და კონტროლი მათი დროულად დაბრუნებისთვის. მოსწავლეები და პედაგოგები აქტიურად სარგებლობენ წიგნებით. ბიბლიოთეკის სივრცე იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეები თუ პედაგოგები ადგილზე გაეცნონ ლიტერატურას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლას აქვს სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის 2 რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და ტექნიკით, რომლის განახლებაც ხდება საჭიროებიდან გამომდინარე. სკოლას აქვს პანდუსი, რომლითაც მოსწავლე მოხვდება შენობის პირველ სართულზე განლაგებულ ოთახებში. პირველ სართულზევეა ექიმის ოთახები და სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის განკუთვნილი სველი წერტილები. ბიბლიოთეკა არის განთავსებული პირველ სართულზე. ისტის კაბინეტი მდებარეობს მეორე სართულზე, თუმცა შშმ პირი რომელი საკლასო ოთახითაც სარგებლობს, იქ არის ინტერნეტი. სკოლას ჰყავს ხუთი სერთიფიცირებული უფროსი სპეც-მასწავლებელი. სკოლას ჰყავს ტრანსპორტი შშმ პირების ტრანსპორტირებისთვის. სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**:

შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს ლიფტის დამონტაჟება და ამის უზრუნველსაყოფად N77108 წერილით მიმართა რესურსენტრს, რათა მოხდეს გამგეობასთან შუამდგომლობა.სკოლის მიერ არგუმენტირებული პასუხის გადმოგზავნისას სკოლამ წარმოადგინა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის წერილი რაიონის ბიუჯეტში ლიფტის რეაბილიტაცის შესახებ.

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლას სოციო-კულტურული ღონისძიებებისა და ურთიერთობისთვის აქვს სააქტო დარბაზი, ღია სპორტული ორი მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლის ეზო, ეზოში ფანჩატური და სხვა. სკოლაში მოქმედ ყველა კათედრას აქვს თავისი საკუთარი სამუშაო სივრცე, რამდენიმე კათედრას აქვს გამოყოფილი სამუშაო და მოსასვენებელი მცირე სივრცე. სკოლაში არსებული მატერილური და ტექნიკური აღჭურვილობა ერთნაირად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ეზო სრულად შემოსაზღვრულია ღობით, რაც მოსწავლეთა უსაფრთხოებას უწყობს ხელს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შიდა აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცება ბრძანება N3-633;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა,
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- მოძრავ პანდუსებთან და ლიფტთან დაკავშირებით წერილები გამგეობასთან N77108 და სსიპ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან N1104683
- პერსონალსა და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები;
- ლაბორატორიებთან დაკავშირებით წერილი N179300 საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს-ისან-სამგორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსთან;
- შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა უზრუნველყოფილია მრავალარხოვანი საკომუნიკაციო სივრცით, ინტერნეტი-ოპტიკურ ბოჭკოვანი, რომელიც ფარავს მთელ სკოლას და ყველასათვის ხელმისაწვდომია.
სკოლა საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, სასწავლო პროგრამა Microsoft Teams, სკოლას აქვს სივრცე სკოლების პორტალზე - skolebi.emis.ge, აქვს ფეისბუქ გვერდი, რომელიც აქტიურია. მას სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის. სასწავლო პროცესის წარმართვისას მასწავლებლები იყენებენ ელექტრონულ ჟურნალს, პედაგოგებს გადაეცათ ინდივიდუალური კომპიუტერები სარგებლობისთვის. მშობლებთან და კოლეგებთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებენ teams-ს, viber-ს და facebook-ს. ასევე იყენებენ onedrive-ის საქაღალდეთა სისტემებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის შენახვის, გაზიარებისა და ერთობლივი მუშაობისთვის. სკოლაში აქტიურად ხორციელდება სასკოლო პროექტები, სადაც აქტიურადაა ჩართული თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმართვას, სკოლას აქვს ერთი კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ყველა პედაგოგს გადაეცა ინდივიდუალური მოხმარებისთვის ლეპტოპები, რომელთაც ისინი იყენებენ სასკოლო პროცესების უფრო მობილურად წარმართვისთვის. საგნობრივ კათედრებს აქვთ გადაცემული და აქტიურად იყენებენ პროექტორებს, პრინტერისა და ქსეროქსის აპარატებს. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილია ადმინისტრაცია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და რესურს ოთახები სსსმ მოსწავლეებისათვის, აქ განთავსებული ტექნიკა გამოიყენება სკოლის მენეჯმენტის სრულფასოვანი მუშაობისთვის.

ყველა პირველკლასელსა და მათ დამრიგებლებს გადაეცემათ ლეპტოპები, სკოლას ჰყავს კვალიფიციური კადრი, რომელიც უზრუნველყოფს ამ პროცესების ხარისხიან წარმართვას.

მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესს წარმართავენ ტექნოლოგიების გამოყენებით, ხშირად ქმნიან ელექტრო თუ მატერიალურ რესურსებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ - გვერდი სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით. სკოლას ჰყავს საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დანიშნულია შესაბამისი კანონმდებლობით: (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 28 სექტემბერი №3-649 ბრძანებით). აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია შემოსული, გასული, შიდა დოკუმენტაცია; ბრძანებების მომზადების, გაფორმების, გამოცემის და მათი აღრიცხვის წესი; ოქმის, წერილის, ცნობის გაფორმების წესი; ხელშეკრულების და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვის წესი და ა.შ.).

საქმისწარმოებას სსიპ ქალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლაში ელექტრონული სისტემით „Eflow”-თი და „email.mes.gov.ge”-სა და eschool.emis.ge-ზე ხორციელდება, აგრეთვე ფიზიკური (მატერიალური) სახით შემოსული კორესპონდენციის კანონით განსაზღვრულ ვადებში დახარისხებას, გატარებას, სკოლის თანამშრომლებისათვის მიწოდებას, შემოსული

კორესპონდენციების გადაგზავნას, შემდგომში მოთხოვნილი ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას, დოკუმენტების კანონით განსაზღვრულ ვადებში შესრულების პროცესის კონტროლის გაწევას და დირექტორისათვის გადაგზავნას. ხდება დოკუმენტაციის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში წესისამებრ გატარება. საქმისმწარმოებელი აღრიცხავს და ატარებს შემოსულ და გასულ კორესპონდენციებს. ამზადებს სხვადასხვა სახის მიღება- ჩაბარებას. უზრუნველყოფს შინაგანაწესით გათვალისწინებულ ვადებში მოქალაქეთა მიღებას. კომპეტენციის ფარგლებში გასცემს საჯარო ინფორმაციას. ახდენს პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეების საბუთების მიღებას, დახარისხებასა და ელექტრონულ რეგისტრაციას განსაზღვრულ ვადებში. ამავდროულად, თვალყურს ადევნებს განათლების სფეროში მოქმედი კანონების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე მინისტრის მიერ გამოცემული სხვა აქტებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მიერ, კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა იმართება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სკოლის თითოეული სტრუქტურა იყენებს თიმსის პლატფორმას საკომუნიკაციოდ და ინფორმაციის დროულად გაცვლის მიზნით შექმნილი აქვთ ჯგუფები, სადაც საჭიროებისამებრ ატარებენ ონლაინ შეხვედრებს. საქმისწარმოება ძირითადად ხდება ელექტრონულად, როგორც შიდა (ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა - Eflow-, eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზა), ისე გარე საკომუნიკაციო საშუალებებს მაგ.Google, eSchool-ს სისტემის მეშვეობით, ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. სისტემა ასევე ასახავს სკოლის შესახებ ძირითად ინფორმაციას, აგრეთვე სკოლაში დასაქმებული პერსონალის მონაცემებს, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემებსა და საკონტაქტო ინფორმაციებს. eSchool-ის ბაზაში არის ასევე ასახული სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში ბაზაში ხდება სამეურვეო საბჭოს წევრების ცვლილება, ასევე საშტატო განრიგის პროექტის შეთანხმება. ზოგიერთი ინფორმაცია და დოკუმენტი მიიღება აგრეთვე სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე tbilisi180@mes.gov.ge. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხდება ბმულზე registration.emis.ge სკოლას ასევე აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია. ასევე სკოლა დარეგისტრირებულია eauction.ge-ზე, სადაც სკოლა საჭიროების შემთხვევაში აცხადებს აუქციონს ფართის იჯარით სარგებლობის გაცემის მიზნით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

eSchool.emis.ge-ზე სკოლას აქვს საკუთარი პროფილი. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. აქვეა განთავსებული მასწავლებლების, მოსწავლეები, სახელმძღვანელოების ბაზები. სკოლას ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც არის სკოლის საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს და აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს აწვდის ინფორმაციას ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყოველწიურად წარუდგენს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშს სკოლის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მოთხოვნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან შემოსულ წერილებზე რეაგირება ხდება მათში მითითებულ ვადებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 28 სექტემბერი №3-649 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების დებულების დამტკიცების შესახებ;
- საქმისმწარმოებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- ელ. ფოსტა tbilisi180@mes.gov.ge, Eschool, Eflow;
- 2025 წლის 8 დეკემბრის სამეურვეო წაბჭოს სხდომის ოქმი N9 -ანგარიში სასწავლო პროცესისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ;

- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფომაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებ-გვერდს skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია სკოლის გვერდი. სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი (FACEBOOK), სადაც მუდმივად თავსდება ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების შესახებ: სხვადასხვა ღონისძიებების (სასწავლო პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადების და სხვ.) შესახებ ინფორმაცია. ასევე სკოლაში სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა დახურული ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ინფორმაცია სოციალურ ქსელში თავსდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია სკოლასა და მშობლებს მიეწოდება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. ასევე, ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც. სკოლაში აქტიურადაა დანერგილი უშუალო კომუნიკაციის პრაქტიკა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლა უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, სანდო, ზუსტი და დროული ინფორმაციის გავრცელებას. ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ოფიციალურ გვერდზე skolemi.emis.ge , რომელიც განკუთვნილია ყველა დაინტერესებული პირისთვის-მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, პერსონალისა და ფართო საზოგადოებისთვის. სკოლის მასწავლებლების დახურულ facebook ჯგუფში რეგულარულად ახლდება სკოლის

დირექციის მხრიდან საგანმანათლებლო ინფორმაციები. ინფორმაციის სანდოობას უზრუნველყოს მისი წინასწარი გადამოწმება ადმინისტრაციის მიერ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობას განიხილავს, როგორც საკუთარი საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს, ხოლო მიღებული უკუკავშირი გამოიყენება სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად იყენებს Teams-სა და messenger ჯგუფებს. მაგალითად, ხდება მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან ინფორმაციის მიწოდება და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სათანადო რეაგირება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლის ვებგვერდია - https://skolebi.emis.ge/ რომელზეც განთავსებულია ქართულენოვანი ტექსტები. სკოლის ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირია საინფორმაციო მენეჯერი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა სავალდებულო ინფორმაცია: საკონტაქტო ინფორმაცია, სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მასწავლებელთა რაოდენობა, მოსწავლეთა რაოდენობა, სექტორის ენა, სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები ;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- დირექტორის მიერ 2026 წლის 30 იანვრის N3-32 ბრძანებით დამტკიცებული „საინფორმაციო პორტალის მართვაზე პასუხისმგებელი პირი“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს (ბიუჯეტი, შესყიდვების გეგმა და სხვა) სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია სკოლის ბიუჯეტი , რომელსაც

ამტკიცებს სამეურვეო საბჭო დირექციასთან შეთანხმებით,განკარგოს შესაბამისად, წარმოდგენილ დეტალურად გაწერილი, წინასწარ შეთანხმების საფუძველზე. ბიუჯეტი გათვლილია მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ხელფასებზე, კომუნალურ გადასახადებზე, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის მიზნით წახალისებაზე, საკანცელარიო ხარჯებზე, ჰიგიენურ პროდუქციაზე.

სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება; სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტი; დაფინანსების დინამიკა; სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები; წლიური ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

დირექტორი თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში ხდება ბიუჯეტის კორექტირება სამეურვეო საბჭოს თანხმობით. შესყიდვის გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე, ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით და ცვლილებების შეტანა ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. შედგენილია შესყიდვების გეგმა. საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური აქტით შედის ცვლილებები. ყოველი კალენდარული წლის ათ დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს აბარებს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნილ ვადებში წარუდგენს ინფორმაციას ფინანსური რესურსების განკარგვისა და მოძრაობის შესახებ. 2023 წლიდან სკოლა ჩართულია ხაზინის ელექტრონულ სისტემაში eTreasure.ge, რომელიც შესაძლებლობას აძლევს დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა უფრო მოქნილი გახადონ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის მიერ 2024 წლის 12 ნოემბერის N3-733 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლის მიერ შესყიდვების განხორციელების წესი და შესყიდვების წლიური ფორმა“;
- დირექტორის მიერ 2025 წლის 18 ნოემბრის N3-645 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლის 2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცება“
- სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი;
- 2023-2030 წლების სკოლის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა;
- დირექტორის ანგარიში ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;

- ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ ბრძანება N3-633შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, „სსიპ - ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება)“, სსიპ - ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი, „სსიპ - ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, „სსიპ - ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლაში მოსწავლის მშობელთან /მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურების გაწევა. ხელშეკრულება იდება მოსწავლის სკოლაში რეგისტრაციისთანავე და მოქმედებს მოსწავლის მიერ სწავლის დასრულებამდე. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ასევე ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს, რადგანაც იგი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულება იდება სკოლასა და მშობელს შორის და მას ხელს აწერს ერთის მხრივ სკოლის დირექტორი და მეორეს მხრივ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლაში მოსწავლის მშობელთან /მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. სასწავლო წლის დაწყებამდე 1-ლი კლასის დამრიგებლები ხვდებიან მშობლებს და აძლევენ თითოეულ მათგანს აბსოლუტურად ერთანაირ კანონმდებლობის შესაბამის გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებას სახლში გასაცნობად და ხელმოსაწერად. დოკუმენტში მითითებულია მშობლის უფლება-ვალდებულებები, რადგან ამ საკითხების გაცნობიერება ზრდის მშობლის ჩართულობის ხარისხს და ეხმარება სასკოლო საზოგადოებას სკოლა უფრო ორიენტირებული გახადოს მოსწავლეზე. ხელშეკრულებაშია სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება - მოვალეობები; მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი, სასწავლო დრო, დასვენების დროს, უქმე დღეები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი და სხვა დებულებები. მოსწავლესთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მისი გაცნობა დასტურდება ხელმოწერით. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- დირექტორის 2023 წლის 28 სექტემბრის N3-642 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი;

- დირექტორის 2024 წლის 3 დეკემბრის N3-762 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ სალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- დირექტორის 2025 წლის 7 ოქტომბრის N3-545 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის N2-22 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ სალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლის მოსწავლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);
- მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასის/საფეხურის დაძლევის, მობლობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და კანონმდებლობის შესაბამისი მკაფიო მექანიზმები რეგულირდება კანონით "ზოგადი განათლების შესახებ", სასკოლო გეგმით და სკოლის შინაგანაწესით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტისა მექანიზმებს. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები რეგულირდება კანონით ზოგადი განათლების შესახებ, სასკოლო გეგმით. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს, ყველა საჭირო დოკუმენტის შედგენას და პროცედურების დროულ და ხარვეზის გარეშე წარმართვას. სკოლა დროულად აქვეყნებს ინფორმაციას მოსწავლეთა სხვადასხვა საფეხურზე ჩარიცხვის თაობაზე, სკოლას არ აქვს დაწესებული ბარიერები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება მოსწავლეთა აკადემიურ მზაობას. დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს, 10 / 20 /45 დღე უწყვეტად გაცდენის შემთხვევაში დამრიგებელი სამსახურებრივი ბარათით მოახსენებს სკოლის დირექტორს, მიზეზების დასადგენად უკავშირდება მშობელს. 20 დღის შემდეგ

საქმეში ერთვება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკი. თუ მოსწავლე 40 დღის განმავლობაში არ გამოცხადდა სკოლაში, მშობელს სკოლა უგზავნის ოფიციალურ წერილს, რომლითაც კიდევ ერთხელ შეახსენებს პროცედურებს და აფრთხილებს მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ. მოსწავლის კვლავ გამოუცხადებლობის შემთხვევაში (45 დღე) მოსწავლეს უჩერდება მოსწავლის სტატუსი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას სსსმ მოსწავლეების ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად ყავს მძღოლი, სკოლაში ფუნქციონირებს ბუფეტი რომელსაც ფართი იჯარით აქვს აღებული. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სხვადასხვა ფასიანი წრეები: ცეკვის შემსწავლელი სტუდია და სპორტული კლუბი. სკოლას დამატებითი მომსახურეობის ასეთი პრაქტიკა აქვს: იგი გადასცემს იჯარით მომსახურების გამწევ პირს ფართს და მომსახურების საფახურს მშობლებისაგან იღებს თავად მომსახურების გამწევი პირი. სკოლა ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, არამარტო პირველკლასელებისათვის, არამედ დაინტერესებული პირებისთვის ეწყობა ღია კარის დღეს, რომლის საშუალებითაც მშობლებს წინასწარ აცნობს ყველა ინფორმაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლაში სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლაში დაგეგმილი აქტივობა და დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მათი მშობლებისა თუ კანონიერი წარმომადგენლებისთვის. ყველა მოსწავლეს აქვს თანაბარი უფლება ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული უფლებებით. სკოლაში არსებული პროგრამები, სერვისები, აქტივობები იძლევა საშუალებას, რომ მასში ჩაერთოს ყველა მოსწავლე, სურვილის შემთხვევაში, განურჩევლად სქესისა, ეროვნული თუ რელიგიური კუთვნილებისა. სკოლის მიერ ყველა ინფორმაცია, რომელიც ეხება მოსწავლეთა კორპუსის მართვას, განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე ინტერნეტ სივრცეში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ (სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი);
- პირველ კლასში ჩარიცხვა;
- მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესის დამტკიცება;
- ბრძანება N3-663 მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ;
- ვებ - გვერდი: სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები
- სასკოლო სასწავლო გემა 2025-2026ს/წ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი, სადაც განსაზღვრულია მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას, რათა გაადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. გაამარტივოს იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესი, რომელთაც

უჭირთ სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა ენობრივი ბარიერის არსებობის გამო. ასევე, თუ მოსწავლეთა ჩამოთვლილი მიზეზებისგან დამოუკიდებლად გააჩნიათ სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები. სკოლის შიდა რეგულაციით განისაზღვრება ადაპტაციის ნიშნები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, დეზადაპტაციის ნიშნები და დეზადაპტაციის პროცესის განსახორციელებელი ღონისძიებები, წარმატებული ადაპტაციის ნიშნები და რეკომენდაციები, პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით განსახორციელებელი პროცედურა. მოსწავლის ადაპტაციის პროცესში ჩართულია დამრიგებელი, მასწავლებელი, ფსიქოლოგი და ა.შ. მაგ: ფსიქოლოგთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით ფსიქოლოგი მონაწილეობს სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ადაპტირებული სასწავლო მასალის მომზადების პროცესში. სადამრიგებლო პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით, დამრიგებლი ხელს უწყობს მოსწავლის ადაპტაციის პროცესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, არამარტო პირველკლასელებისათვის, არამედ დაინტერესებული პირებისთვის ეწყობა ღია კარის დღე, რომლის საშუალებითაც მშობლებს წინასწარ აცნობებენ ყველა ინფორმაციას, მათ შორის სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას: ფორმდება მშობელსა და სკოლას შორის ხელშეკრულება, სადაც არის გაწერილი ორივე მხარის უფლება-მოვალეობები. პერიოდულად სიახლეებისა და ცვლილებების შესახებ ინფორმაციას აწვდიან სოციალური ქსელით. ადაპტაციის პროცესში ჩართულია კლასის დამრიგებლები, ფსიქოლოგი, სსსმ მოსწავლეთა ასისტენტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლა რეგულარულად ჩართულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმისა და სადამრიგებლო პროგრამის შესაბამისად დამრიგებლის მოვალეობას წარმოადგენს, მოსწავლის შესახებ მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდება. მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს აიმაღლოს სემესტრული ნიშანი, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული რემედიაციის პროცედურები, წლის განმავლობაში ტარდება დიაგნოსტიკური წერები და კათედრის სხდომებზე ხდება შედეგების ანალიზი. სემესტრის ბოლოს განიხილება ისგ სემესტრული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შეფასების საკითხი. პედსაბჭოზე სემესტრისა და წლის ბოლოს ხორციელდება სასწავლო პროცესის შეფასება, ანგარიშის მომზადება და შესაბამისი პირებისთვის გაცნობა. სკოლამ 2026 წლის 23 აპრილს ბრძანება N3-113 დაამკიცა რემედიაციას წესი, რომლის მიხედვითაც რემედიაციის პროგრამა ორიენტირებულია მასში ჩართული თითოეული მოსწავლის უნდივიდუალურ საჭიროებებზე და ესგ-ის სტანდარტების მისაღწევად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლას 2021 წლის 18 თებერვლის №2-22 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსიპ - ქალაქ თბილისის 180 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), რომლის თანახმად განსაზღვრულია სკოლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებები, მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია, მშობელთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. აღნიშნული რეგულაციის შინაარსიდან გამომდინარე მშობელს სკოლის საქმიანობის და სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება მშობელთა კრებებზე, წინასწარ დაუგეგმავ შეხვედრებზე, მიმოწერის საფუძველზე. ყველა მოსწავლეს აქვს თანაბარი უფლება ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული უფლებებით. კერძოდ, სკოლაში ხორციელდება შინ სწავლების რეჟიმზე გადაყვანილი მოსწავლეების მხარდაჭერა, ასევე კლასის დამრიგებლები და დირექცია დროულად აწვდის ინფორმაციას კონკურსების, ოლიმპიადების, სპორტული ღონისძიებების შესახებ, რომ მასში ჩაერთოს ყველა მოსწავლე, სურვილის შემთხვევაში. სკოლის მიერ ყველა ინფორმაცია, რომელიც ეხება მოსწავლეთა კორპუსის მართვას, განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე ინტერნეტ სივრცეში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით დამატებითი/ არაფორმალური აქტივობების წახალისებას და მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერას. სკოლას კარგად აქვს გააზრებული დამატებითი/არაფორმალური აქტივობების როლი მოსწავლეთა მოქალაქეობრივი, კულტურული ცნობიერების, თვითგამოხატვის. იდენტობის და სხვა კომპეტენციების განვითარებაში და ხელს უწყობს მათ საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანებას. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები, წრეები, ტარდება ექსკურსიები, სპორტული თუ შემოქმედებითი ღონისძიებები, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების მიზნებთან, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ორიენტირებულია ყველა მოსწავლეზე, მათ პიროვნულ და სოციალურ-კულტურული უნარების განვითარებაზე. სკოლა უზრუნველყოფს არაფორმალურ აქტივობებში მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერას. მოსწავლეები არჩევენ მათი ინტერესიდან და საჭიროებიდან გამომდინარე აქტივობებს და თემებს. პროექტის განხორციელებისას შესაძლოა გამოიკვეთოს

მოსწავლეების მხრიდან ახალი ინტერესი, ახალი აქტივობები, რომელიც მხარდაჭერილია და წახალისებული სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურებას. სკოლა ატარებს მოსწავლეებთან შეხვედრებს, ესაუბრება მშობლებს სკოლის მიერ მიწოდებული სერვისების უკუკავშირს ხარისხის გასაუმჯობესებლად, პერიოდულად ვახორციელებთ მოსწავლეების და მშობლების უკუკავშირის მონიტორინგს, კათედრის წევრები იკრიბებიან და მსჯელობენ ექსკურსიების, წრეების, სპორტული თუ შემოქმედებითი ღონისძიებების და სხვა განხორციელებული აქტივობების, მოსწავლეთა შთაბეჭდილებების შესახებ და სახავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის აქტივობებს, რომელიც ინიცირებულია და მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 3 დეკემბრის N3-762 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ სალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
- დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის N2-22 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ სალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლის მოსწავლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება(კომუნიკაციის სტრატეგია);
- სასკოლო საკლუბო მუშაობის ნიმუში;
- რემედიაციის წესი
- სასკოლო სასწავლო გეგმის მე-9 მუხლის შესაბამისად (შინსწავლება);
- სადამრიგებლო პროგრამის ნიმუში
- ვებ - გვერდი სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურებით სკოლა ეხმარება მათ საკუთარი ფიზიკური, კოგნიტური და პიროვნული მახასიათებლების აღმოჩენაში და ამ მახასიათებლების შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირებაში. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. ასევე, შეხვედრებს ვატარებთ სკოლის ბაზაზე სხვადასხვა უმაღლეს და პროფესიულ დაწესებულებებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის „მშობლებთან ურთიერთობის დებულებით“ განსაზღვრულია საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის მშობლისთვის მიწოდების წესი და პროცედურა. წლის განმავლობაში უნივერსიტეტის წარმომადგენლები სისტემატურად ხვდებიან XI-XII კლასის მოსწავლეებს. სასწავლებლის წარმომადგენლები საუბრობენ მათ მიერ არჩეულ პროფესიებზე, უნივერსიტეტის იდენტობაზე, მათი თვალით დანახულ პროფესიებზე, მომავლის პროფესიებზე. იმართება დისკუსიები, კითხვა პასუხის რეჟიმში მოსწავლეებს მიეწოდებათ მათთვის საინტერესო ინფორმაციები. სკოლა სხვადასხვა პროფესიების შესახებ საბაზო ან საშუალო საფეხურის მშობლებს და მოსწავლეებს აცნობს სხვადასხვა პროფესიული კოლეჯების ან უნივერსიტეტების ჩამონათვალს, სად რა პროფესია შეუძლია შეიძინოს და გამოიყენოს ცხოვრებაში მოსწავლემ. ინფორმაციის გაცნობა მშობლებისთვის ხდება ან მშობელთა კრებებზე, ან სოციალურ ქსელში მშობელთა ჯგუფებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში სამომავლოდ აპირებს გაითვალისწინოს კარიერული განვითარების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირი. წლის ბოლოს დაგეგმილია სკოლის კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება იდენტიფიცირება, რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი თავისი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში. მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით, ინფორმაციის ანალიზით მომავალ სასწავლო წელს დაიგეგმება განსახორციელებელი ღონისძიებები და აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის N2-22 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ სალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლის მოსწავლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება(კომუნიკაციის სტრატეგია);
- პროექტების ლინკები

https://www.facebook.com/share/v/186o87svp2/ ;
https://www.facebook.com/share/p/1WrnLthths/
https://www.facebook.com/share/v/1D7rS4Rik3/
https://www.facebook.com/share/r/19WD7ypTVP/

- სკოლასა და უმაღლეს დაწესებულებებს შორის გაფორმებული მემორანდუმები;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ ქალაქ თბილისი N180 საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესში გაწერილია სკოლაში სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. აღნიშნული სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების, სტატუსის მოხსნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და შესრულების პროცედურები, სკოლის ვალდებულებები და სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის დაცვის რეგულაცია, სსსმ მოსწავლის ადაპტაციის პრინციპები. მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მიზნით შემუშავებულია მიმართვის ფორმები. ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად განსაზღვრულია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების რეგულაცია. სკოლის შენობაში სსსმ მოსწავლეებისთვის განსაზღვრულია 2 რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური, სასწავლო რესურსით, დამხმარე რესურსით, რაც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარებას. რესურს ოთახში გამოკრულია მეცადინეობების განრიგი. სკოლის საშტატო განრიგის თანახმად სკოლას განსაზღვრული ჰყავს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტები: 5 - სპეციალური მასწავლებელი, 1-

ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების დარღვევების მქონე მოსწავლეებთან მომუშავე დამხმარე სპეციალისტი-1, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი-19.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში სსსმ მოსწავლის მხარდაჭერა სრულად ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასწავლო წლის დასაწყისში, თითოეულ სსსმ მოსწავლეზე იქმნება ისგ ჯგუფი (რაც დასტურდება ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებით), სადაც შედიან სსსმ მოსწავლის საგნის მასწავლებლები, მშობელი, სპეციალური მასწავლებელი და ფსიქოლოგი; კანონმდებლობის შესაბამისად ჩვენს სკოლაში ხორციელდება ისგ ჯგუფის შეხვედრა წელიწადში მინიმუმ 4-ჯერ და საჭიროების შემთხვევაში იზრდება მათი რაოდენობა. ისგ ჯგუფის შეხვედრების მტკიცებულებად სკოლა ქმნის სხდომათა ოქმებს. ისგ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის პედაგოგები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები და მშობელი ვუზიარებთ ერთმანეთს მიღწეულ შედეგებს, არსებულ გამოწვევებს და ვსახავთ გაზიარებულ სტრატეგიებს. განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭებათ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პრიორიტეტს და ითვალისწინებენ მის პერსპექტივას იმის შესახებ, თუ რა სფეროში სჭირდება მოსწავლეს მხარდაჭერა და გაძლიერება; ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები პერიოდულად ახორციელებენ სასწავლო პროცესის მონიტორინგს - აწარმოებენ ფონურ დაკვირვებას გაკვეთილის მიმდინარეობის დროს, რათა განსაზღვრონ რამდენად არიან ჩართულები სსსმ მოსწავლეები საგაკეთილო პროცესში. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი წარუდგენს დირექტორს მონიტორინგის ანგარიშს, სადაც აღწერილია წლის განმავლობაში მათ მიერ გაწეული სამუშაო; მიმდინარე წელს სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერის მიმართულებით დავიწყეთ სასკოლო საზოაგადოებისგან (პედაგოგებისა და სსსმ მოსწავლეების მშობლების) უკუკავშირის შეგროვება. გამოკითხვისთვის შედგენილია კითხვარი, რომელიც შედგება დახურული და ღია კითხვებისგან. კითხვარი დაეგზავნათ სკოლის ყველა სსსმ მოსწავლის მშობელსა და მასწავლებელს. კვლევა არის ანონიმური, კითხვარის შევსების ბოლო ვადა არის განსაზღვრული და ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში, შემდგომ ხდება კვლევის შედეგების შეჯამება ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №1/კ-80 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის 180 საჯარო სკოლის საშტატო განრიგი“;
- სსიპ ქალაქ თბილისიის №180 საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- სკოლის ფსიქოლოგთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- სკოლის ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- დირექტორის 2025 წლის 2 ოქტომბრის „სსიპ ქალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბრძანება N3-509;
- რესურს ოთახის მუშაობის განრიგი (2025-2026 სასწ.წელი)
- სკოლის მიმართვის ფორმა მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნის მიზნით;
- კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის ფორმა მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნის მიზნით;
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N180 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- მონიტორინგის ჯგუფის 2025 წლის 03.10 და 21.12 სხდომის ოქმი N1 და N2;
- მოსწავლის ნამუშევრები;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა თავად უზრუნველყოფს შშმ მოსწავლეთა ტრანსპორტირებას, ტრანსპორტი ემსახურება 4 მოსწავლეს (ერთი ავტომანქანა). სკოლას განსაზღვრული ჰყავს ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი. მარშრუტი შედგენილია წინასწარ და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. ჩვენს სკოლაში მოსწავლეებს ვთავაზობთ კვების სერვისს, ფუნქციონირებს სასადილო, რომელიც გაცემულია იჯარით და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან. სასადილოს ამოწმებს ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან: ექიმი. მასწავლებელი, მოსწავლე, კეთდება ჩანაწერი და დგება ოქმი. ასევე იჯარით არის გაცემული ფართები შემდეგი წრეებისათვის: ქართული ცეკვის წრეები; გახანგრძლივებულის წრე; სასკოლო ბუფეტი; კალათბურთის წრე; კრივის წრე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა, სრულად ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, დაწესებულების მიერ დადგენილი წესით და პირობებით, რომელიც წინასწარ შეთანხმებულია მართვის კოლეგიალურ ორგანოსთან და მომსახურების მიმღებთან და ემსახურება მოსწავლის სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა დამატებითი მომსახურებების უზრუნველსაყოფად იჯარით გასცემს ფართს და მოიჯარეებს აქვთ უსაფრთხოების ნორმების დაცვის ვალდებულება ხელშეკრულებებით აღებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანებით N3-476 დამტკიცებული შშმ პირების ტრანსპორტირების მარშრუტი
- იჯარის დოკუმენტაცია (სამეურვეოს ოქმი, ნებართვის წერილები ხელშეკრულება)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** **[redacted] მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება [redacted] მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	☐ **შეესაბამება** [redacted] **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას დირექტორის ბრძანებით N3-771 (2024 წლის 26 დეკემბერი) დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კურიკულუმის დაგეგმვისას, მის სხვადასხვა კომპონენტში სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესის, შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებსა და დირექციას მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვთ. მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმის შემუშავების,დანერგვის და შეფასების პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრები, დირექტორის მოადგილეები და პედაგოგიური საბჭო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმი შედგება საგნობრივი კურიკულუმებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებისგან. მეხუთე კლასში გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მათი მშობლების გერმანული და რუსული ენების არჩევასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრული საკლასო და სასკოლო აქტივობებისა თუ პროექტების მიზნები თანხმდება მშობლებთან. კურიკულუმის თემების შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ინდივიდუალური შესაძლებლობები, კურიკულუმები მორგებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი მოდიფიცირებაც. საშუალო საფეხურზე მოსწავლეები და მშობლები ირჩევენ არჩევით საგნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კათედრის წარმომადგენლები თანამშრომლობენ კურიკულუმის შექმნისას როგორც კათედრის შიგნით ასევე კათედრებს შორის. მასწავლებლები სასწავლო წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, წარმოადგენენ ანგარიშებს, რეფლექსიებს, რომლის საფუძველზეც იგეგემება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო პროცესი, ითვალისწინებენ წინა სასწავლო წლის გამოცდილებას, არგუმენტირებულად აყალიბებენ, თუ რომელმა თემებმა/ აქტივობებმა იმუშავა უკეთ, რომელი დაეხმარა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნის მიღწევაში, რომელმა დავალებებმა უზრუნველყო მოსწავლეთა მეტი ჩართულობა და მოტივაცია. აანალიზებენ მოსწავლეთა უკუკავშირს (გასასვლელი ბარათები, თვითშეფასების ბარათი, და ა.შ.) და ამ ინფორმაციის გათვალისწინებით იგეგმება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმი. დამრიგებლები მშობლების უკუკავშირს აზიარებენ კათედრებზე და პედაგოგიურ საბჭოზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმით განსაზღვრული მნიშვნელოვანი აქტივობებისა თუ თემების შესახებ, მშობელთა ინფორმირება ხდება კლასის საერთო კრებებზე ან სოციალური ქსელის საშუალებით. მაგალითად, მშობელთა პირველ კრებაზე (სასწავლო წლის პირველ კვირაში), მშობლებს აცნობენ სასწავლო წლის განმავლობაში გასახორციელებელ დავალებებს. განუმარტავენ დიაგნოსტიკური და შემოქმედებითი დავალების მუშაობის პრინციპებს, მშობელთა ბარათის დანიშნულებას, განხორციელების ეტაპებს. მშობლები ასევე ეცნობიან საგნობრივ პროგრამებს, სადამრიგებლო საათის პროგრამას. საჭიროების შემთხვევაში, საგნის მასწავლებლები გამოთქვამენ მზადყოფნას სატელეფონო კავშირით, ელექტრონული ფოსტით, ელექტრონული ჟურნალით ან ინდივიდუალურ შეხვედრაზე გასცენ პასუხი მოსწავლის მშობელს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დამტკიცებული N3-771 ბრძანებით;
- პედსაბჭოს ოქმი
- დიაგნოსტიკური წერის ნიმუში
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება N2-573

- მასწავლებლის გაკვეთილის რეფლექსია;
- მშობელთა კრების ოქმი
- შემოქმედებითი დავალების ნიმუში

1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ საბუნებისმეტყველო საგნების (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების პროცესზე. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სრულადაა ასახული სავალდებულო თემები და გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები) ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების შესაბამისად. კომპლექსური დავალებების სახით წარმოდგენილი შუალედური მიზნები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა შემოქმედებითობა, თანამშრომლობა და პასუხისმგებლობა. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, სამივე საფეხურზე ორიენტირებულია მოსწავლეზე. კურიკულუმები აგებულია ისე, რომ ითვალისწინებს არა მხოლოდ მოსწავლეთა ცოდნას, არამედ ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას. კომპლექსური ხასიათის დავალებებში ჩანს კავშირი რეალურ ცხოვრებასთან. შუალედურ მიზნებად მოაზრებული დავალებები შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს. კურიკულუმში ჩანს, რომ კომპლექსური ხასიათის დავალებით გათვალისწინებული პროდუქტის შექმნისას მოსწავლეები განივითარებენ მაღალ სააზროვნო უნარებს, შეძლებენ ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**
უცხოური ენები	წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეულია მოსწავლეთათვის ნაცნობი თემები და კონტექსტი, დაგეგმილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზე მუშაობისას მოსწავლეს დასჭირდება მაღალი სააზროვნო უნარები და ცოდნის ინტეგრირება. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას კათედრის წევრები ეყრდნობიან გასული წლის შედეგების ანალიზს და ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესს, საჭიროებებს და შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი კურიკულუმების, სასწავლო მასალებისა და კათედრის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და ითვალისწინებს მის ინტერესებსა და შესაძლებლობებს. კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე, რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ ცოდნის მიღებას, არამედ მის გააზრებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. სასწავლო აქტივობები

	მოიცავს ინდივიდუალურ, ჯგუფურ და პროექტულ დავალებებს, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და ავითარებს შემოქმედებით და ანალიტიკურ უნარებს. ასევე, კურიკულუმში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრაქტიკულ და შემოქმედებით საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს ცოდნის რეალურ კონტექსტში გამოყენებას და მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები იმგვარადაა აგებული,რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე.ჩანს რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს,წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები. საკითხებით/საკითხთა კლასტერით დაფარულია ყველა სავალდებულო თემა გარდა მე-11 კლასის კურიკულუმისა. სამიზნე ცნებებთან მიმართებით, დაზუსტებულია შუალედური დავალებები და რესურსები. შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის და შესაძლებლობების შესაბამისად. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.

	რჩევა: მე-11 კლასის კურიკულუმში დაემატოს თემები: კოსინუსების თეორემა, სინუსების თეორემა. მე-8 კლასის და მე-11 კლასის კურიკულუმში ზოგან თემასთან ერთად წერია საკითხებიც, ან მხოლოდ საკითხები. ასევე, მე-12 კლასის კურიკულუმში ზოგან, სამიზნე ცნებებთან ერთად წერია ასევე საკითხები. სასურველია, გაიმიჯნოს ერთმანეთისგან და შესაბამის სვეტში ჩაიწეროს. **ინდიკატორი 2.1.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; შემუშავებული კურიკულუმე/ბი, მასწავლებლის მიერ შედგენილი თვითშეფასების რესურსი სკოლაზე მორგებულია. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა

	სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებით საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ კურიკულუმის ჩარჩოებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაწერილია შესაბამისი საგნის (ბუნებისმეტყველება,ქართული,მათემატიკა,მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები,სამიზნე ცნებები და სასწავლო რესურსები.კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები- შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შესაბამისად კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის მიერ სამივე საფეხურისთვის შემუშავებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმები სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან — სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებთან. დასახული მიზნების მისაღწევად აქტიურად გამოიყენება კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას და ხელს უწყობს კრიტიკული, შემოქმედებითი და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის — კურიკულუმების, ინდივიდუალური გეგმების, კომპლექსური დავალების ბარათების,

	შეფასების რუბრიკებისა და სხვა სასწავლო რესურსების ანალიზი ადასტურებს სასწავლო მიზნების სრულ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმისსაგნობრივ სტანდარტებთან. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** **რჩევა**: სასურველია კურიკულუმის ცხრილში აისახოს კვლევითი ტიპის დავალებები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული-სასწავლო გეგმით განსაზრვრულ გრძევადიან მიზნებს. გაწერილია სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. თითოეული თემა და დაგეგმილი აქტივობა ემსახურება განსაზღვრული შედეგების მიღწევას. მასწავლებლებთან ინტერვიუსა და სკოლის მიერ დამატებით გადმოგზავნილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი შედეგებზეა ორიენტირებული. მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ის თუ რას ასწავლის მასწავლებელი, არამეს ის თუ რას სწავლობს მოსწავლე. კურიკულუმში ჩაშენებულია აქტიური სწავლების მეთოდები: დისკუსია, პროექტი, კვლევა, თანამშრომლობითი სწავლება. დიდია გლობალურ ფუნქციური უნარების როლი, რომელთა დამუშავებაც ხდება კომპლექსური ხასიათის დავალებების კეთებისა და პროექტების განხორციელების პროცესში. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**
უცხოური ენები	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები, განსაზღვრულია კონტექსტ მაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები და რესურსები, რაც ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ისინი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და ორიენტირებულია როგორც ცოდნის, ისე უნარების განვითარებაზე. სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილებულია ხელოვნებისა და მუსიკის ძირითადი ელემენტებისა და პრინციპების გააზრებაზე, სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის კონტექსტში მათი აღქმასა და ინტერპრეტაციაზე, ასევე შემოქმედებითი და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები და დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკულ და შემოქმედებით კონტექსტში. ასევე, კურიკულუმში იკვეთება საგანთაშორისი კავშირები და პროექტული სწავლების ელემენტები, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების უფრო სრულად მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხერხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული ძირითადი და დამხმარე ტექსტები,კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. თუმცა იკვეთება მცირე უზუსტობებიც, რაც გასაუბრების დროს დაკონკრეტდა და გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება, ქვეცნება, რასაც აუცილებლად გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა- დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია კურიკულუმები.მათში სათანადოდ აისახოს და დამუშავდეს თითოეული თემა.(კერძოდ, მე-5 კლასის კურიკულუმში ჩასამატებელი და გასათვალისწინებელია მე-4 თავის თემა, რომლის ფარგლებშიც დამუშავდება შესაბამისი სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები) **რჩევა- საბაზო საფეხურზე** კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია კურიკულუმები. მათში სათანადოდ აისახოს და გაიწეროს თემები, რომელთა შესაბამისად დამუშავდება სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. განსაკუთრებით **დასახვეწია საბაზო საფეხურზე** VII და IX კლასების საგნობრივი კურიკულუმები, დასაზუსტებელია საბაზო საფეხურის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, გვხვდება უზუსტობები თემებს, დავალების იდეებსა და აქტივობათა ურთიერთმიმართებებს შორის, რაც ბუნდოვანს ხდის შემოქმედებითი ტიპის დავალებათა არსს. სასურველია სიღრმისეულად გაეცნოთ **საბაზო და საშუალო საფეხურის** ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტს და კურიკულუმის შედგენისას გამოიყენოთ მართებულად.

	რჩევა- საშუალო საფეხურზე კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია კურიკულუმები.
მათემატიკა	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმებში იკვეთება კორელაცია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებთან და სამიზნე ცნებებთან. დაგეგმილი შემოქმედებითი ტიპის დავალების შინაარსი, მიზნობრივი აქტივობებისა და რესურსის შეთავაზება, მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს.

	წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები იძლევა მოსწავლის დაფიქრებისა და წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას. ზოგიერთი კლასის კურიკულუმში თითქმის ყველა თემის გასწვრივ წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალება, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, მიღებული გამოცდილების საფუძველზე, მომავალში გეგმავენ მხოლოდ ზოგოერთი შემოქმედებითი დავალება **რჩევა:** სასურველია, ზოგიერთი კლასის კურიკულუმებში (მაგ. მე-6 და მე-8 კლასების) წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება. **ინდიკატორი 2.1.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებშ საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ. აღნიშნუ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ დ უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითა ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესშ გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებებ შესაძლებლობები და პრიორიტეტები. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული

	მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნება ან არასწორად არის მითითებული, ან გამორჩენილია.ზოგიერთი საგნის კურიკულუმში თითქმის ყველა თემის გასწვრივ წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალება, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, მიღებული გამოცდილების საფუძველზე, მომავალში მიზნობრივად მიუთითონ შემოქმედებითი ტიპის დავალებები. **ჩევა**: სასურველია, კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი. კურიკულუმებში, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რომელი სამიზნე ცნება, კონკრეტულად რომელი საკითხით მუშავდება. ასევე, გადამოწმდეს ის მიდგომა, რომ ყველა სავალდებულო თემაში, ყველა სამიზნე ცნება მუშავდებოდეს.

2. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია), ძირითადი და დამხმარე რესურსები, უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. რესურსების ჩამონათვალში წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოგაკვეთილები, ვირტუალური ლაბორატორიები, სიმულაციები და სხვა . **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის ცხრილში, ელექტრონული რესურსების გარდა აისახოს სხვა მატერიალური რესურსიც.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში წარმოდგენილია სახელმძღვანელოს გარდა სხვა მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>** ***რჩევა:*** მე-10 კლასის საქართველოს ისტორიის კურიკულუმში სასურველია მითითებული იყოს სახელმძღვანელოს გარდა სხვა დამატებითი სასწავლო რესურსი.
უცხოური ენები	კურიკულუმებში სახელმძღვანელო გამოყენებულია როგორც ძირითადი რესურსი. ის წარმოადგენს მთავარ საყრდენს და უშუალოდ უკავშირდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული ბმულები საგანმანათლებლო ვიდეოების სახით, რაც მოსწავლეებს ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში. **რჩევა:** სასურველია, რომ უცხოური ენების კათედრამ გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი რესურსები, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით,

	რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებზე. ამასთანავე, სასურველია, კონტექსტ მაგალითის გრაფაში მითითებული იყოს კონკრეტული რესურსი (მაგალითად: ესეს მოდელი, ტექსტი, ბროშურა და სხვ.), რომელიც მოსწავლეს დაეხმარება კონკრეტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები ძირითადად შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ დაგეგმილი შედეგების მიღწევას. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი რესურსები, მათ შორის ვიზუალური, აუდიო და ციფრული მასალა, რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვან სასწავლო გარემოს. რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, აღქმის გამდიდრებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ამასთან, სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვადასხვა ტიპის რესურსი (პრაქტიკული მასალა, პროექტული აქტივობები, ტექნოლოგიები) უზრუნველყოფს ცოდნის რეალურ კონტექსტში გამოყენებას და ზრდის სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	დაწყებით საფეხურზე კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა-** მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით სასურველია სამივე საფეხურის კურიკულუმებში რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით,რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.
მათემატიკა	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. კურიკულუმებში ასევე წარმოდგენილია მრავალფეროვანი დამხმარე საგანმანათლებლო ციფრული რესურსები, რომლებიც ჩაშენებულია ლინკების სახით (Phet, Ck-12 სიმულაციები, desmos, geogebra-ს პლატფორმები, ტელესკოლის გაკვეთილები, ხანის აკადემიის, math.ge რესურსები, იუტუბის ვიდეო რესურსები) წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების შერჩევას. მათ წარმოადგინეს ასევე კათედრის სხდომის ოქმი საგანმანათელბლო

	ციფრული რესურსების გაცნობასთან და შერჩევასთან დაკავშირებით. კურიკულუმში წარმოდგენილი და კათედრაზე შეთანხმებული ელექტრონული თუ მატერიალური რესურსები ხელს უწყობს სამიზნე ცნებების დამუშავებას და მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების **რჩევა:** მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმებში სასურველია, რესურსებს სვეტშიც დამატებით რესურსებთან ერთად მითითებულ იქნას ძირითადი რესურსები **ინდიკატორი 2.1.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობები, **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც გამოიკვეთა დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნაწილ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში არ არის ასახული მრავალფეროვანი

	საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლების უმრავლესობა იყენებს სასწავლო პროცესში. **რჩევა:** სასურველია ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა

3. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე , საბუნებისმეტყველო საგნებში წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. გასაუბრებისას გამოიკვეთამ რომ პედაგოგებს აქვტ მაღალი მზაობას და შესაბამისი გამოცდილება, რათა მოსწავლეებს მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი რესურსები შესთავაზონ. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას და ხელს უწყობს ცოდნის კონსტრუირების პროცესს. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მოდიფიცირებული დავალებები ნათლად ასახავს საბუნებისმეტყველო კათედრის წევრთა მზაობასა და გამოცდილებას სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მიმართულებით. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ყველა მოსწავლეს აქვს მონაწილეობის, სწავლისა და განვითარების შესაძლებლობა, მიუხედავად მათი უნარების, საჭიროებების, ინტერესების, სწავლის სტილისა და ტემპისა. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო მრავალფეროვან რესურსებს.

	მუდმივად ახდენენ სსსმ მოსწავლეებისათვის კომპლექსური ხასიათის დავალებების საჭიროებისამებრ მოდიფიცირებას და ხშირად იყენებენ ,,სასწავლო მენიუს“ პრაქტიკაში. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**
უცხოური ენები	სასკოლო კურიკულუმი იმგვარადაა შედგენილი, რომ იძლევა დიფერენცირების შესაძლებლობას, ითვალისწინებს მოსწავლეთა მზაობას და ხელს უწყობს მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ამის დასტურია საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და ის მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტები (პრეზენტაცია, პოსტერი, განრიგი, ესე და სხვ.), რომლებსაც მოსწავლეები ქმნიან დავალების ფარგლებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში განსაზღვრულია მოსწავლეთა აქტუალური დონე, გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი აქტივობები, რაც მიუთითებს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებაზე. ამასთან, სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი აქტივობები (ინდივიდუალური, ჯგუფური, პროექტული), რაც ქმნის შესაძლებლობას სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართულობისა და განვითარებისათვის. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება.გასაუბრებამაც ცხადყო,რომ მასწავლებლები ,მოსწავლის საჭიროებიდან

	გამომდინარე, დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას ახდენენ სწავლის სტილის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმები გაწერილია ისე, რომ სასწავლო პროცესი დაეფუძნოს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას; წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია ასევე კათედრის სხდომის ოქმი ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით. რას იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლები ეცნობიან და ერთმანეთს უზიარებენ სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი გეგმავენ ისეთ აქტოვობებს, რომელიც გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. სთავაზობენ ისეთ დავალებას, რომელიც მორგებულია მათ შესაძლებლობებს. საჭიროებისამებრ ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის; **ინდიკატორი 2.1.2.4 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. გათალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. პედაგოგებთან გასაუბრებით იქნა მოყვანილი კონკრეტულად სასწავლო პროცესში როგორ

	ხდება მოსწავლეთა ინდივიდალური საჭიროებების გათვალისწინება, დიფემნცირება საგაკვეთილო პროცესში, შესაბამისად ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე, ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მოსწავლეებს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტის შესაქმნელად.

4. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი ყველა საგნის კურიკულუმს თან ახლავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მათში მოცემული შეფასების კრიტერიუმები იძლევა ცოდნის კონსტრუირების პროცესისა და წინარე ცოდნის შეფასების შესაძლებლობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას. წარმოდგენილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ შეფასების სისტემა სრულ თანხვედრაშია საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნაწილი ზოგადი ხასიათისაა. მიზანშეწონილია ამ რუბრიკების კონკრეტულ საკითხებთან, თემებთან ან დავალებებთან შესაბამისობაში მოყვანა. რათა შეფასების კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ ასახავდეს კონკრეტული სასწავლო თემის ან დავალების ფარგლებში მისაღწევ შედეგებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით სწავლის შედეგების აღწერა საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით მიმდინარეობს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე გააზრებული აქვს ამ ტიპის შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ამ მიმართულებით კათედრები სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ შეფასების მოქმედ რუბრიკებს, კომპლექსური დავალებების განხორციელების შემდეგ აანალიზებენ სასწავლო პროცესში, გამოყენებულ შეფასების სქემებს და მუდმივად ცვლიან და ნერგავენ ახალ ინსტრუმენტებს. სკოლაში არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს, რათა არ აცდნენ ეროვნული-სასწავლო გეგმის ძირითად მოთხოვნებს. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**
უცხოური ენები	კათედრას შემუშავებული აქვს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი, რომელიც განსაზღვრავს მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით და განმავითარებელი, სადაც ორიენტირი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაა. შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები ადასტურებს, რომ ორიენტირება ხდება სამიზნე ცნებებსა და მოლოდინებზე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. **რჩევა:** მნიშვნელოვანია, რომ კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა შესასწავლი თემის ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალება მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს, რომ მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლის ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შეფასების რუბრიკების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება, რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან. შეფასების პროცესი ეფუძნება მკაფიო კრიტერიუმებს და მოიცავს როგორც სასწავლო პროცესს, ისე საბოლოო პროდუქტს. გამოყენებული რუბრიკები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების შეფასებას მხატვრულ-გამომსახველობითი ელემენტების, ტექნიკის, შემოქმედებითობისა და შინაარსის გათვალისწინებით. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს მათი პროგრესის მონიტორინგსა და სწავლის პროცესის გაუმჯობესებას. **რჩევა:** შეფასების რუბრიკები ძირითადად ზოგადი ხასიათისაა, ამიტომ მიზანშეწონილია მათი უფრო მეტად დაკონკრეტება კონკრეტული დავალებებისა და თემების შესაბამისად, რაც კიდევ უფრო გაზრდის შეფასების სიზუსტესა და ეფექტიანობას. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	დაწყებით საფეხურზე მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. სახელმწიფო ენის პედაგოგებმა წარმოდგინეს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

მათემატიკა	სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრაზე შემუშავებული შეფასების რუბრიკის ნიმუშები. სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ. ასევე, განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. სკოლამ წარმოადგინა ზოგადი შეფასების რუბრიკები. (თვითშეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, ინფორმაციის მოძიების, საშინაო დავალების, საკლასო მუშაობის, შემოქმედებთი დავალების, დისკუსიის) შემოქმედებითი ტიპის დავალებაზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ და ერკვევიან შეფასების მეთოდებსა და ინსტრუმენტებში. **რჩევა:** სასურველია, განსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას პედაგოგებმა მეტად გამოიყენონ სამიზნე ცნებები და შეფასების კრიტერიუმები იყოს უფრო მეტად, კონკრეტულ დავალებაზე მორგებული და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.5 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება მოძრაობაში. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება

	გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ზოგადი სახისაა. **რჩევა-** სასურველია ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო საგნების (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) სამივე საფეხურის კურიკულუმები, კომპლექსური დავალების ბარათები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, დაწყებითი და საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმები, შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები - შეფასების რუბრიკებით.

სამივე საფეხურზე ყველა კლასის კურიკულუმები მათემატიკაში, სასკოლოს სასწავლო გეგმა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, კათედრის ოქმი N1, შემოქმედებითი ტიპის დავალების ნიმუში.

*სახელმწიფო ენა-**დასტურდება (მტკიცებულებები):***

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
კათედრის სხდომის ოქმები;
კათედრის სამოქმედო გეგმა;
შეფასების ინსტრუმენტები;
განხორციელებული შემაჯამებელი დავალებები;
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
პედაგოგთა რეფლექსიები;
გაკვეთილის გეგმები;
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
ფოტომასლა;
მოსწავლეთა ნამუშევრები;
თვითშფასების კითხვარი.

.˙ .
.....
.....
.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი კურიკულუმის სრული შესაბამისობით მიმდინარეობს. სავალდებულო

	თემების ფარგლებში შერჩეული საკითხები მუშავდება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგებული კომპლექსური დავალებებითა და მრავალფეროვანი რესურსებით. ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ თეორიულ სწავლებასთან ერთად, სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს. გარდა შემოქმედებითი პროდუქტების, ვიდეოგაკვეთილებისა და ციფრული სიმულაციებისა, მასწავლებლები ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს; ახორციელებენ სხვადასხვა გარემოსდაცვით და STEM პროექტებს, ატარებენ სასკოლო კონფერენციებს, გასვლით აქტივობებს (ვიზიტი ეროვნულ მუზეუმში) და სხვა . რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და კვლევითი უნარების პრაქტიკულ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაგეგმილი კურიკულუმის განხორციელება და კომპლექსური ხასიათის დავალებებზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. სკოლის მიერ გამოგზავნილი დამატებითი მასალა, მოსწავლეთა ნამუშევრები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებები და აქტიურ შემოქმედებით პროცესებში მათი ჩართვის აუცილებლობა. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთდროულად განივითაროს სხვადასხვა სააზროვნო უნარი, დამოუკიდებლად განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა, დააკვირდეს მუშაობის პროცესსა და გააანალიზოს შედეგები. პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსური ხასიათის დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში. აღნიშნული დავალებები ჩაშენებული აქვთ მათ საგნობრივ კურიკულუმებში. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

უცხოური ენები	სამივე საფეხურის სასწავლო კურიკულუმი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს. კურიკულუმში გაწერილი თემები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებთან, შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და განსაზღვრულია რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრებიც. **რჩევა:** მნიშვნელოვანია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მიუთითოთ საათობრივი განაწილება თითოეულ თემასთან მიმართებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი სასწავლო მასალებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. გაკვეთილები ეყრდნობა კურიკულუმში განსაზღვრულ თემატურ ბლოკებს, სამიზნე ცნებებსა და სასწავლო აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას. პრაქტიკული და შემოქმედებითი დავალებები მიმართულია მოსწავლეთა ჩართულობისა და უნარების განვითარებისკენ. სასწავლო პროცესში იკვეთება თეორიული და პრაქტიკული აქტივობების ბალანსი, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი,აქცენტი კეთდება როგორც სახელმძღვანელოში შერჩეულ, ასევე სავალდებულო თემებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები, რაც ასევე გამოიკვეთა გასაუბრებისას. სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. განხორციელებული აქვთ სასწავლო-შემოქმედებითი პროექტები, კალიგრაფიისა და მხატვრული კითხვის კონკურსები, ვიქტორინები. პროექტები „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“ და ,,მე ვკითხულობ, შენც გორჩევ'' (მე-5-მე-6 კლ.) რომლებმაც მოიცვეს როგორც საბაზო საფეხურის ყველა კლასი, ასევე დაწყებითისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეები და მთელი სასკოლო საზოგადოება. „1924 წლის აჯანყება“,აგრეთვე, ,,სამშობლოს სიყვარულის განცდა რომანტიკოსებსა და თანამედროვეობაში'', რომელიც დაგვირგვინდა კონფერენციით (მე-11კლ.) **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან: მტკიცებულებებიდან, თვითშეფასების ანგარიშიდან, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან და ინტერვიუდან გამომდინარე, დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (მაგალითად:ქალაქში გადაადგილების აპლიკაციის შექმნა, კუთხით გასროლილი სხეულის მოძრაობა აღწერა, მიუწვდომელი ადგილადმე მანძილის გაზომვა, მაგალითად: მდინარის სიგანის გაზომვა; სახლის

	მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის შექმნა, მზის სისტემის პლანეტები, გეომეტრიული ფიგურები არქიტექტურაში,) **ინდიკატორი 2.2.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან დგინდება,რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად;

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ცდილობს შექმნას პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო გარემო, რომელიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. ღიაობა, მაღალი მიმღებლობა, პრობლემაზე ორიენტირებულობა და მოსწავლის ინიციატივების წახალისება წამყვან როლს ასრულებს სასკოლო ცხოვრებაში. პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, სასკოლო პროექტები, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობები: მათემატიკის წრე, ქართული ენის წრე, ქართული ენის გრამატიკის წრე და სხვ. ეხმარება მოსწავლეებს შეძლონ გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობასა და ზოგადად ცხოვრებაში გაბედული ნაბიჯების გადადგმა. ასევე დიდი როლი აქვს მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის თანამშრომლობით სწავლას, სადაც მოსწავლე მუდმივად ინტერქციაშია თანატოლთან, გასცემს და იღებს დაუყოვნებლივ უკუკავშირს, იზიარებს პასუხისმგებლობას საბოლოო შედეგზე. მოსწავლის მაღალი ჩართულობა აქტივობებში სწავლის პროცესს და სასწავლო მასალას ანიჭებს პიროვნულ წონას და შინაგან მოტივაციას აღძრავს. ამის მაგალითია სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებები და პროექტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დებულება, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტები. როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან. რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცილდება სასწავლო პროგრამის ჩარჩოებს. რუბრიკები ზუსტად ასახავს იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რომელთა გაზომვაც არის

	დაგეგმილი, რაც იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში გაწერილია, თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსური ხასიათის დავალებაზე მუშაობისას. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. აღნიშნული მიდგომა მისასალმებელია, რადგან იმისათვის, რომ შეფასების პროცესი იყოს მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. მნიშვნელოვანია მოსწავლეების ჩართულობაც შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები მიემართება შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზნებს, შესაბამისად არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებებისკენ. თუმცა, წარმოდგენილ შემაჯამებელი(ტესტური)დავალების შეფასების რუბრიკებში, სასურველია უფრო მეტად დაკონკრეტდეს, თუ რა კონკრეტული საკითხების ცოდნა მოეთხოვება მოსწავლეს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება

	ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. სკოლაში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების პროცესში გამოყენებულია მკაფიო კრიტერიუმებზე დაფუძნებული რუბრიკები, რომლებიც მოიცავს როგორც პროცესის, ისე საბოლოო პროდუქტის შეფასებას და ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს მათი პროგრესის გააზრებასა და სწავლის პროცესის გაუმჯობესებას. შეფასების კრიტერიუმები გასაგებია და წინასწარ არის ცნობილი, რაც ზრდის შეფასების სანდოობასა და სამართლიანობას. **რჩევა:** მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკების მეტად დაკონკრეტება კონკრეტული დავალებებისა და თემების შესაბამისად, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს შეფასების ვალიდურობასა და სიზუსტეს. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს.შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადესა და სანდოობას. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

მათემატიკა	სამივე საფეხურზე კათედრა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს, ამასთან, სკოლაში არსებობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი შეფასების სისტემის მახასიათებლები. ინტერვიუების შედეგად იკვეთება, რომ აქტივობები ფასდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა ხასიათდება სანდოობითა და გამჭვირვალობით. **ინდიკატორი 2.2.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი და აღწერილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი; მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ

	არიან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე დგინდება ,რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური,გამჭვირვალე,სანდო და ობიექტური.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ 2026 წლის 13 თებერვალს N3-60 ბრძანებით დაამტკიცა სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი. აღნიშნული დებულების მიხედვით ვერიფიკაციის მიმართულებებია: 1. შემაჯამებელი დავალების დასკოლაში ჩატარებული ყველა ტიპის გამოცდისთვის შედგენილი ინსტრუმენტის, კომპლექსური დავალების პირობების და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია; 2. შემაჯამებელი დავალების/გამოცდის ჩატარების, კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესის ვალიდაცია; 3. შემაჯამებელი დავალებების, სკოლაში გამართული გამოცდების შედეგების/მტკიცებულებების ვალიდაცია. დებულების მიხედვით სასწავლო წლის დასაწყისში დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება ვერიფიკატორთა ჯგუფის შემადგენლობა. ჯგუფში თითო წარმომადგენელი უნდა იყოს ყველა საგნობრივი ჯგუფიდან. ვერიფიკატორთა ჯგუფი საერთო შეხვედრებზე იხილავს შეფასების შედეგების მიგნებებს. შიდა ვალიდატორები შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით ამოწმებენ შეფასების ინსტრუმენტებს, შემაჯამებელი დავალებებისა და შემოქმედებითი დავალებების პირობებს, აკვირდებიან შეფასების პროცესს და განიხილავენ შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლას 2025-2026 სასწავლო წლის განმავალობაში მოსწავლეების შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები დაარქივებული აქვს და გეგმავს შეინახოს მინიმუმ 3 წლით „მოსწავლის პირადი საქმე“. შესაბამისად პირად საქმეში შეტანილი წლიური შეფასებები, ცნობები, ექსტერნზე ინფორმაცია და ასე შემდეგ პირადი საქმის შენახვის ვადით ინახება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო საგნების (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) სამივე საფეხურის კურიკულუმები,

კომპლექსური დავალების ბარათები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, დაწყებითი და საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმები,შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები - შეფასების რუბრიკებით. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დებულება.

სასკოლოს სასწავლო გეგმა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, მათემატიკაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები სამივე საფეხურზე, შეფასების სისტემის ვერიფიცაციის დოკუმენტი, სკოლის თვითშეფასების ანგარიში, შემოქმედებითი დავალების ნიმუშები

.....
.....
.....

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ყველა საგნის კურიკულუმში განსაზღვრულია როგორც სავალდებულო ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე მრავალფეროვანი დამხმარე მასალები: ვირტუალური ლაბორატორიები, სიმულაციები, ვიდეოგაკვეთილები და სხვა. აღნიშნული რესურსების ერთობლიობა ხელს უწყობს სასწავლო შედეგების ეფექტურ მიღწევას და ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას.

	ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლებთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა და საგნობრივ კურიკულუმებშიც თვალნათლივ ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ, როგორც ძირითად (სახელმძღვანელო), ასევე დამხმარე ონლაინ სასწავლო რესურსებს. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამასთან შესაბამისობას, ზრდის სწავლების ხარისხს, მოსწავლეებისათვის უფრო გასაგები და ხელმისაწვდომი ხდება სასწავლო მასალა, აძლიერებს მათ მოტივაციასა და ინტერესს. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმებში, სახელმძღვანელო გამოყენებულია, როგორც ძირითადი რესურსი, ის წარმოადგენს მთავარ საყრდენს და უშუალოდ უკავშირდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. კათედრა ასევე იყენებს დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას და მოსწავლეების ინტერესის გაღვივებას. კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული ბმულები საგანმანათლებლო ვიდეოების სახით, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლის შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები. გაკვეთილებზე გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი ვიზუალური, აუდიო და ციფრული მასალა, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამდიდრებასა და მოსწავლეთა ჩართულობას. რესურსების შერჩევისას გამოყენებულია ასაკობრივი თავისებურებები.

	ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები,ინტერესები,საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, იშვიათად გვხვდება ციფრული რესურსები და მაორგანიზებელი სქემები. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** **დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმის შექმნისას რესურსების გრაფაში ასახონ როგორც ძირითადი , ასევე დამხმარე რესურსები. სასურველია (განსაკუთრებით V-VI კლასების)კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება. **საბაზო და საშუალო საფეხურზე** კურიკულუმის შექმნისას რესურსების გრაფაში ასახონ როგორც ძირითადი , ასევე დამხმარე რესურსები. სასურველია **საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში** წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება.
მათემატიკა	საგნობრივი კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი და მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსების ბმულები, მათემატიკური სიმულაციების

	ციფრული პლატფორმები, რომლიც გამოყენებასაც გეგმავს მასწავლებელი სასწავლო მიზნების მისაღწევად და მოსწავლეთა დასაინტერესებლად. რჩევა: მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში რესურსების გრაფაში, მიზანშეწონილია, აისახოს ძირითადი რესურსები **ინდიკატორი 2.2.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ახალი კურიკულუმის შექმნამდე კათედრამ შეაფასოს წინა წლის შედეგები და მათი გათვალისწინებით შექმნან ახალი კურიკულუმი.. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, იკრიბებიან ყოველი სემესტრის ბოლოს და განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში ამ შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, წარმოდგენილი იქნა რესურსის სასწავლო პორცესში გამოყენების მაგალითი, შესაბამისად ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ იყენებენ სხვადასხვა რესურსებს. რჩევა - სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ.ბმულები.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი ოქმის მიხედვით, წლის დასაწყისში ხდება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვა და დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია; **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ ისინი ამოწმებენ იმ რესურსების ხარისხს და მიზნობრიობას რომლებიც სასწავლო პროცესში გამოიყენება. აკვირდებიან აუმჯობესებს თუ არა ისინი სწავლების ხარისხს, შეესაბამება თუ არა საგანმანათლებლო მიზნებს, წიგნების შემთხვევაში აქვს თუ არა მას გრიფი მინიჭებული, რამდენადაა ის სანდო და ასაკის შესაბამისი. ელექტრონული რესურსის შემთხვევაში კი უზრუნველყოფენ, რომ ისინი არ შეიცავდეს შეცდომებს, მიუღებელ კონტეტნტს ან არ იყოს დაბალი ხარისხის. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

უცხოური ენები	მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში, გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა, იყენებენ დამხმარე მატერიალურ რესურსებს და ელექტრონულ რესურსებს, მაგ. საგანმანათლებლო ვიდეოებს. რესურსების ვალიდაციას ახდენენ კათედრის სხდომაზე, სასწავლო წლის დასაწყისში. დამატებითი რესურსების ჩამონათვალს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრის მუშაობის ამსახველი მასალების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა და გამოყენება ხორციელდება საგნის სპეციფიკისა და სასწავლო მიზნების გათვალისწინებით. კათედრის სხდომების ფარგლებში ხდება საგანმანათლებლო რესურსების განხილვა და შერჩევა, რაც მიუთითებს კოლეგიალურ მიდგომაზე და რესურსების შესაბამისობის შეფასებაზე სასწავლო პროცესთან. გამოყენებული რესურსები მრავალფეროვანია, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	დაწყებით საფეხურზე რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს შესაძლებლობის ფარგლებში, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროს. სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ახალი დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია შესაბამისი წესით.

	ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სამივე საფეხურზე, შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. ის შეთანხმებულია კათედრაზე, რაც დასტურდება კათედრის N1 ოქმით. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის საკითხის განხილვა ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტის მიხედვით, კეთებით სწავლება გულისხმობს რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს. მხოლოდ ელექტრონული რესურსები და ვირტუალური ლაბორატორია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების მისაღწევად საკმარისი არ არის. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითად დაგეგმილია ლაბორატორიის ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალურ - ტექნიკური ბაზის რესურსებით აღჭურვა. **გეგმაში მითითებული დაწყებისა და დასრულების თარიღად მითითებულია 18/02/2026 და საჭიროებს კორექტირებას**. **ინდიკატორი 2.2.2.3. მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

	რეკომენდაცია: სკოლამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით 18/02/2026 -მდე უნდა მოეხდინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი ლაბორატორიული ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით. რათა შესაძლებელი იყოს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისთვის საჭირო პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება და დაცული იყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ დადგენილი მოთხოვნები. მოხდეს შესაბამისობის გეგმის ვადების კორექტირება. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ლაბორატორიის აღჭურვა მოხდება 2026 წლის დეკემბრამდე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**
უცხოური ენები	მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების შესაბამისი მატერიალური რესურსით -სახელმძღვანელოებით, დამატებითი საგანმანათლებლო, მატერიალური რესურსებით. სარგებლობენ ბიბლიოთეკით და ინტერნეტით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი ინფორმაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების გამოყენებას.

	ხელოვნებისა და მუსიკის გაკვეთილებზე ხელმისაწვდომია ძირითადი სასწავლო საშუალებები, მათ შორის ტექნიკური მოწყობილობები და ვიზუალური რესურსები, რაც იძლევა შესაძლებლობას განხორციელდეს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული აქტივობები. არსებული რესურსები, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, ქმნის სათანადო პირობებს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად და არ ზღუდავს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით.მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** უფრო მეტად დაზუსტდეს და აისახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში, რაც გასაუბრების დროსაც დადასტუტდა.
მათემატიკა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სპორტის კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა

	დაინტერესებული პირისთვის. ის გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობები, **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდრტთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები, კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ.რესურსებს, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. რჩევა: სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დრო)

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლაში ფუნქციონირებს 8 კათედრა: დაწყებითი კლასების, მათემატიკის, ქართულ ენისა და ლიტერატურის, უცხო ენების (ინგლისურის, რუსულის, გერმანულის,) საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო, ესთეტიკის (მუსიკა, ხელოვნება), სპორტის. I-XII კლასებში სწავლება საგნობრივიაა, თითოეულ კათედრას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის უფროსი და წამყვანი მასწავლებლები. სკოლას ჰყავს 1 მენტორი, 25 წამყვანი მასწავლებელი და 83 უფროსი მასწავლებელი. პედაგოგები მუდმივად ზრუნავენ პროფესიულ განვითარებაზე და მზად არიან სიახლეებისადმი. მონაწილეობენ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო პროექტებში. ასევე მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ვებინარებსა და ტრენინგებში. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რასაც ადასტურებს კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, ერთობლივად დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები, ინტეგრირებული პროექტები და სხვადასხვა აქტივობები. მაგალითად: სასკოლო პროექტები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.....

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- შემოქმედებითი დავალებების იდეები;
- პროექტის გეგმები;
- კათედრის ოქმები;
- მასწავლებლების ანგარიშები;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაცის წესი;
- გასაუბრება მასწავლებლებთან;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. ამ ეტაპზე, 2025-2026 სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად, სკოლის მიერ შერჩეული იქნა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტიდან შეირჩა ინსტრუმენტი. თითოეულ საფეხურზე შერჩეულია, რომ ჩატარდეს 2 სადიაგნოსტიკო წერა. 1 პირველ სემესტრში და 1 მეორეში. ამ დროისთვის ჩატარებული გვაქვს 1. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მონაცემები დამუშავებულია და შედეგები ასახულია საგნობრივ კათედრებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგები თანაბრად ღებულობენ კურიკულუმის შემუშავებისას მონაწილეობას, პარალელური კლასებიც ერთი და იმავე შემოქმედებით დავალებებს ახორციელებენ. ამიტომ წლის განმავლობაში თანამშრომლობენ, ერთად გეგმავენ ნაბიჯ-ნაბიჯ ჩასატარებელ აქტივობებს. სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. მიღებულ მონაცემებს აანალიზებენ კათედრებზე, გამოკვეთენ რამდენად მიღწეულია შედეგები რაც ჰქონდათ დასახული თითოეული მოსწავლისა თუ საერთო პრობლემური საკითხების შესახებ, გამოკვეთენ საკვანძო საკითხებს, ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს, გაითვალისწინონ მომავალში სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი (15 პედაგოგი), რომლებიც მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში ეხმარებიან, წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით აკვირდებიან თითოეული პედაგოგის საქმიანობას, ფასდება მოსწავლეთა ჩართულობა, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა, სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა, მოსწავლეთა შეფასება. სკოლის მასწავლებლებმა ჩაატარეს საჩვენებელი გაკვეთილები სხვადასხვა საგნებში. მათ წინასწარ დაეგზავნათ შეფასების რუბრიკები, რომლის საფუძველზეც თითოეულმა მათგანმა დამკვირვებლისაგან მიიღო განმავითარებელი უკუკავშირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მიზნობრივად და კარგად განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება განაპირობებს ეფექტიან ანგარიშვალდებულებას და წაახალისებს ლიდერობას. ეს ყველაფერი კი სკოლის განვითარებას უწყობს ხელს. მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სკოლის მენეჯმენტის გუნდს ეხმარება წინა წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და პასუხისმგებლობის განაწილების დაგეგმვა. მონიტორინგისა და შეფასების სისტემა წინაპირობას ქმნის მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამიტომ სასწავლო პროცესის განმავლობაში ვიყენებთ ზეპირ, წერილობით და სწრაფ (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები) განმავითარებელ შეფასებას, მოსწავლეთა თვითშეფასებას. მასწავლებლები აფასებენ, ადგენენ იმ სფეროებსა და უნარებს, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, აძლევენ უკუკავშირს და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სწავლის პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრება (გეგმა, რეფლექსია და უკუკავშირი);

- კათედრის ოქმი;
- სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შეფასება ჰოლისტური ხასიათსაა, რადგან ეს არის ინტეგრირებული, ერთიანი სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციას მოვიპოვებთ მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი. ასე ვაფასებთ არა მარტო მოსწავლის ცოდნასა და უნარებს, არამედ მთლიან სასწავლო პროცესს, რომელიც ემსახურება სასწავლო გეგმის დანერგვის დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზს და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სასწავლო პროცესის შეფასება ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების ინფორმაციას მოვიპოვებთ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის გარემო, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასების პროცესში გამოიყენება მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა: კოლეგების გამოცდილების გაზიარება, მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება, წინარე გამოცდილების გათვალისწინება, შედეგების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, მშობლებთან და მოსწავლეებთან ვერბალური ინტერაქცია, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით მიღებული ინფორმაცია, ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილ გაკვეთილების შეფასება და მასწავლებელთა ჯგუფის შეხვედრაზე ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი. ამ მეთოდებით მიღებული ინფორმაცია გადამუშავდება, გამოვლინდება ცვლილებების საჭიროება. მიღებული გადაწყვეტილებები აისახება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონრკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის მივმართავთ მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზს, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ვგეგმავთ ინტერვენციებს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნების კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი;
- კლასის სადამრიგებლო საათი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმი და სამოქმედო წლიური გეგმა ასახავს სკოლის პრიოტეტსა და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება. სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები. მასზე დაფუძნებით სკოლა შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. დაგეგმვის პროცესში მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა წინარე ცოდნა, გამოცდილება და კურიკულუმის შემუშავებისას მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე ერთობლივად შეიმუშავეს მომავალი წლის კურიკულუმი, რომელიც ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. სკოლა აქტიურად განაგრძობს მასწავლებელთა მხარდაჭერას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ეფექტიანად იმუშავა ლიდერ მასწავლებელთა მიერ ჩატარებულმა სამუშაო შეხვედრებმა, რომლის დროსაც მასწავლებლები იხილავდნენ ისეთ თემებს, როგორიცაა

საგანმანათლებლო რესურსებისა და პლატფორმების განხილვა და სხვ. ამ პროგრამის ფარგლებში ყველა მასწავლებელმა ჩაატარა გაკვეთილები სხვადასხვა საგნებში, რომელთაც ესწრებოდა მათი წარმომადგენელი და მიიღეს უკუკავშირი, რითაც დაეხმარა მათ პროფესიულ განვითარებასა და წინსვლაში.

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები აანალიზებენ წინა სასწავლო წლის ანალიზს, გამოკვეთენ საჭიროებებს ახალი კურიკულუმის შემუშავებისა. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებულია როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ანუ ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიში;
- მასწავლებლებთან გასაუბრება
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: